

ეგვიპტის ისტორიული არჩევნები

A3



"თქვენი აფხაზეთი"

A5



კიდევ შევხვდებით

A6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 7 სექტემბერი, 2005 წელი. №200 (1060) | ფასი 50 თეთრი

## ამბები

### აეროპორტი - ტანჯული მშენებლობა

მომავალ კვირას თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მოსამზადებელი სამუშაოები, ოქტომბრის ბოლოსთვის კი - მთავრობისთვის ასე "ნანატრი" ახალი აეროპორტის მშენებლობა დაიწყება.

A2

## ამბები

### "ინგლისის ისტორია" ინგლისური იუმორის გარეშე



ეს წიგნი ინგლისის ისტორიაა უძველესი კელტური ხანიდან ოცდამეერთე საუკუნემდე.

A2

## რევიუ

### "მანგოს" წვენი



დავიწყოთ თავიდან და ვნახოთ, რას სთავაზობს ქალებს სუნამო Adorably. ეს "მანგოს" ორიგინალური მიქსია - სიგრილე და აზიური მგრძნობიარობა, ანუ წითელი ხილისა და ძვირფასი ხეების ნაზავი.

A7

## რევიუ

### მოდა, როგორც პიცა



16 სექტემბერს ნიუ იორკის მოდის კვირეული ერთი მნიშვნელოვანი დებიუტით დაიხურება. მომღერალი და მსახიობი გვენ სტეფანი თავის ახალ კოლექციას წარმოადგენს.

A8

## ამინდი

| | 7/09 | 8 /09 |
|---|---|---|
| თბილისი | 26 | 22 |
| ტყიბული | 25 | 22 |
| სოხუმი | 25 | 25 |
| გორი | 23 | 21 |
| ონი | 21 | 16 |
| ზუგდიდი | 27 | 27 |
| სამტრედია | 26 | 25 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7975 |
| ევრო | 2.2395 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3070 |
| რუბლი | 0.0637 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| მონიტორინგი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

# "პუტინს ჩამოაგდებს სამოქალაქო საზოგადოება"

"ოპოზიცია რუსეთში? - რას ამბობთ..."

ნინო გომართელი
ვარშავა-თბილისი

*პოლონეთში, სამი დღის განმავლობაში, დამოუკიდებელი პროფკავშირების "სოლიდარნოსტის" შექმნის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია - "სოლიდარნოსტიდან თავისუფლებამდე" - მიმდინარეობდა, რომლის მთავარი მიზანი მოძრაობის წარმოქმნისა და საქმიანობის საერთაშორისო შედეგების გაანალიზება იყო. ფორუმში ევროპის სახელმწიფოთა და მთავრობათა 20-ზე მეტი მეთაური მონაწილეობდა. კონფერენციაზე საკმაოდ ხშირად მუსირებდა რუსეთის თემა და კრემლის პოლიტიკის კრიტიკა. თუმცა, მოსკოვიდან სტუმრები არ ყოფილან. რუსეთიდან მოწვეული ერთადერთი სტუმარი რუსეთის პირველი ომბუდსმენი, რამდენიმე მოწვევის პარლამენტის წევრი, ადამიანის უფლებათა დამცველი, საზოგადოება "მემორიალის" ხელმძღვანელი სერგეი კოვალიოვი იყო. კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას მან "რუსეთში წითელ-ხაკისფერი რევოლუციის" საშიშროებაზე ისაუბრა და კრემლის პოლიტიკა გააკრიტიკა.*

გაგრძელება A3 გვერდზე



ნინო გომართელის ფოტო

*ალექსანდრე კოვალიოვი: "მე იმედი მქონდა, რომ პუტინი თავის საქციელს მოინანიებდა და ბოდიშს მოიხდიდა.*

# თანამედროვე ადმინისტრაცია

ლევან იზორია
სამართლის დოქტორი, შსს აკადემიის რექტორი

*საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს სახელმწიფოს ადმინისტრაციულ სტრუქტურებში თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპებისა და კულტურის დამკვიდრებამ. ამ მიმართულებით ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა, რაც სახელმწიფო სამსახურში ზედმეტი შტატების შემცირებაში, ზედმეტი ნებართვებისა და ლიცენზიების გაუქმებაში და ე. წ. "ერთი ფანჯრის" პრინციპის შემოღებაში გამოიხატება. ყოველივე ეს მმართველობის ახალ კონცეფციას ემყარება, საიდანაც ადმინისტრაციის რეფორმირების სტრატეგიული მიმართულებები განისაზღვრება.*

მმართველობის თანამედროვე კონცეფცია პირველ რიგში სახელმწიფოს ამოცანებისა და მისი უფლებამოსილებების ფარგლების ახლებურ გააზრებას ემყარება. აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, სახელმწიფოს როლი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების სფეროში შეზღუდულია. მისი უფლებამოსილებები უნდა იყოს ისეთი ძირითადი ამოცანების შესრულებით განსაზღვრული, როგორიცაა საფინანსო, სასამართლო, საპოლიციო, სამხედრო სფერო და სხვ. არ შეიძლება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ყველა ამოცანა სახელმწიფოს მიერ იყოს შესრულებული. სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი ჩარჩო პირობები, რომლის ფარგლებში თავად საზოგადოების მხრიდან იქნება შესაძლებელი აქტიურობისა და კონკრეტული ინიციატივების გამოვლენა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# რუსული გაზი, ევროკავშირი და რევოლუციური გარდაქმნები პოსტსაბჭოთა სივრცეში

ნიკა თარაშვილი

*რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი დღეს თავის მეგობარს, გერმანიის კანცლერ გერჰარდ შრიოდერს სტუმრობს. ვიზიტის ოფიციალური მიზანი სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტზე ხელმოწერაა - პროექტის თანახმად აშენდება გაზსადენი ბალტიის ზღვის გავლით სანკტ-პეტერბურგიდან აღმოსავლეთ გერმანიის ქალაქ გრიფსვალდამდე. რასაკვირველია, ეს უაღრესად დიდი მნიშვნელობის პროექტია, რომელიც, შეიძლება ითქვას, რადიკალურად შეცვლის სიტუაციას რეგიონში (ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში, დასავლეთში რუსული გაზის ტრანსპორტირებისას, უკრაინისა და პოლონეთის როლი მინიმუმამდე შემცირდება), თუმცა, ბუნებრივია, ბუნდესტაგის არჩევნებამდე 10 დღით ადრე მეგობართან რუსეთის ლიდერის ჩასვლას სხვა მიზანიც აქვს.*



*ვლადიმირ პუტინი: რუსეთს არ აქვს იმპერიული ამბიციები, მას მხოლოდ სტრატეგიული ინტერესები აქვს პოსტსაბჭოთა სივრცეში.*

რუსეთის ჩარევა "სტრატეგიულ ქვეყნებში" მიმდინარე არჩევნების პროცესში უკვე არაერთგზის გამოცდილი მეთოდია. სხვათა შორის, მეზობელ სლავურ სახელმწიფოში დამარცხებას პუტინი დღემდე განიცდის. ამის დასტური იყო ორშაბათს საღამოს კრემლში უცხოელ ჟურნალისტებთან და პოლიტოლოგებთან შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვებიც: **"ხომ ხედავთ, როგორ ჩაეფლო უკრაინა კორუფციის ჭაობში. ჩვენ ამის შესახებ ვაფრთხილებდით ევროპას. თუმცა, არავინ მოგვისმინა. ჩვენი მოსმენა კი აუცილებელია,"** - დაახლოებით ასე იხსენებს შეხვედრაზე მყოფი ბრიტანული "თაიმს"-ის ჟურნალისტი რუსეთის მმართველის სიტყვებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "უკონტაქტო ბრძოლები" პარლამენტში

*რამიშვილი-ბექაურის კრიმინალური სკანდალი თანდათან გამყრელიძე-მაჭავარიანის მძაფრ პოლიტიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. უკვე ორი დღეა, "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერსა და ვიცე-სპიკერს შორის "უკონტაქტო ბრძოლები" მიმდინარეობს. "მეომარი მხარეები", ჯერჯერობით, მხოლოდ შორეული "წერტილოვანი დარტყმებით" კმაყოფილდებიან - დავით გამყრელიძე თავისი პარტიული ოფისიდან "უშენს ჭურვებს" ვიცე-სპიკერს, ეს უკანასკნელი კი საპასუხო "ცეცხლს" პარლამენტის ბიუროს სხდომებიდან ხსნის.*

გიორგი ასანიშვილი

**სიტყვა**

გუშინ, 11 საათზე და 09 წუთზე, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ბიუროს სხდომათა დარბაზში მაგიდაზე სპიკერის ჩაქუჩის დარტყმით საშემოდგომო სესია გახსნა და... გამყრელიძეს "ეძგერა".

**"ადამიანს, რომელიც ქუჩაში ხალხს რეკეტიორების დაცვისკენ მოუწოდებდა, ცირკის მოწყობა სურს. ასე გააფთრებით იმიტომ მებრძვიან, რომ ჩემი შეშინება სურთ,"** - აცხადებს მაჭავარიანი. მისივე თქმით, იგი აპირებს, ოფიციალური წერილით მიმართოს გენერალურ პროკურორს და ზურაბ ადეიშვილს სთხოვოს, რომ დამატებით დაიკითხოს შალვა რამიშვილი, ვინაიდან დავით გამყრელიძის მტკიცებით, მიხეილ მაჭავარიანის ბიზნეს-ინტერესების შესახებ ინფორმაცია მას სწორედ დაპატიმრებული ჟურნალისტისგან მიუღია.

მეორე წერილი მიხეილ მაჭავარიანს სტუდია "რეპორტიორის" ხელმძღვანელის ვახტანგ კომახიძის სახელზე აქვს გამზადებული. **"ვინაიდან აპელირებენ იმაზე, რომ მისი სტუდიის მიერ გადაღებულ ფილმში, თითქოს, ჩემზეც არის საუბარი, სურვილი მაქვს, კომახიძეს შევხვდე და დავადგინო, როგორ აგორდა უსაფუძვლო ეჭვები და ცილისწამება,"** - განმარტავს ვიცე-სპიკერი.

დავით გამყრელიძესთან გაჩაღებულ ბრძოლაში მიხეილ მაჭავარიანმა გუშინ კიდევ ერთი, მივიწყებული "იარაღიც" გამოიყენა. მან ბიუროს წევრებს შეახსენა, რომ 2000 წელს შექმნილმა საპარლამენტო კომისიამ, რომელსაც გამყრელიძე ედგა სათავეში, 1999 წლის საბიუჯეტო გარღვევის მიზეზები შეისწავლა და ბიუჯეტის ვერშესრულებაში პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია დაადანაშაულა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# გორში ჟურნალისტების ცემა ჩვეულებად იქცა

*5 სექტემბერს "ხალხის გაზეთის" ჟურნალისტს საბა წიწიკაშვილს სამმა, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირმა სცემა. ჟურნალისტების ცემის ფაქტი შიდა ქართლში არავისთვის უცხო აღარ არის.*

თეა თედლიაშვილი
გორიდან

ჟურნალისტის ცემის ფაქტს გუშინვე გამოეხმაურა სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, იგი თავად ჩავიდა გორში ჟურნალისტის მოსანახულებლად. **"ამას არ შეიძლება ეწოდოს კრიმინალი, რადგან ადგილი არ ჰქონია დაყაჩაღების მცდელობას. მომხდარი უკავშირდება ჟურნალისტის საქმიანობას და დამნაშავე აუცილებლად უნდა დაისაჯოს. პირადად მოვახსენებ ამის შესახებ გენერალურ პროკურატურას და თვალყურს მივადევნებ საქმის გამოძიებას. სამწუხაროდ, ყველაზე მეტად ამ რეგიონში არიან ტერორიზებულები ჟურნალისტები,** - განაცხადა სოზარ სუბარმა.

5 სექტემბერს წიწიკაშვილს,საღამოს რვის ნახევრისთვის, რკინიგზის სადგურში სამმა დაუდგენელმა პირმა სცემა. წიწიკაშვილისთვის მათ არ მოუთხოვიათ არც ფული და არც მობილური ტელეფონი. სცემეს და მიიმალნენ. ჟურნალისტმა ცემის შედეგად თავის არეში სერიოზული დაზიანება მიიღო, მას გორის რაიონულ საავადმყოფოში, კეფაზე ნაკერები დაადეს. ცემის შემდეგ, რამდენიმე წუთში, ჟურნალისტი თავად დაუკავშირდა სამართალდამცავ ორგანოებს და დახმარება ითხოვა.

**"ახლა აქცენტის გადატანა იქით, რომ რეგიონში კრიმინოგენული სიტუაცია დაიძაბა და მე მისი მსხვერპლი ვარ, დაუშვებელია. მე არ ვარ კრიმინალური გარჩევების მსხვერპლი და**

გაგრძელება A2 გვერდზე

# "GSP+" - სიახლე, რომელიც ევროკავშირისკენ გვიბიძგებს

*გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა, მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად, ბიზნეს-წრეებს ევროკავშირის GSP+ პროგრამა წარუდგინა, რომელიც განვითარებად ქვეყნებში სიღარიბის დაძლევას და ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის განსხვავებული შეღავათების ახალი სისტემის განვითარებას ითვალისწინებს. კერძოდ, ექსპორტის განსხვავებული სქემა იმ პროდუქტების სიის გაზრდას გულისხმობს, რომელთა ექსპორტირებისას საბაჟო გადასახადი არ არის საჭირო. საქართველო დსთ-ს ერთადერთი ქვეყანა იქნება, სადაც GSP+ პროგრამა ამოქმედდება.*

დიანა ჩაჩუა

ახლო მომავალში ქართველ ბიზნესმენებსა და მეწარმეებს ევროკავშირის ბაზარზე მთელი რიგი დასახელების საქონლის ნულოვანი საბაჟო განაკვეთით შეტანის საშუალება მიეცემათ. შესაბამისი განცხადებით, საქართველოს მთავრობა ევროკავშირს 2005 წლის 31 ოქტომბერს მიმართავს.

**"ეს სქემა საქართველოში პირველი ივლისიდან ამოქმედდა, თუმცა ოფიციალურად GSP+ სისტემაში გასაწევრიანებლად ევროკავშირში განცხადებას ოქტომბრის ბოლოს შევიტანთ,"** - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა.

პროგრამა GSP+ (შეღავათიანი გენერალიზებული პროგრამა), რომელიც ქართველ მეწარმეებს შეღავათებს აძლევს, ქართველ ექსპორტიორებს ევროკავშირში დაახლოებით 7 200 დასახელების პროდუქტის ნულოვანი საბაჟო განაკვეთით შეტანის შესაძლებლობას მისცემს. დღემდე მსგავსი შეღავათები მხოლოდ 3 300 დასახელების პროდუქციაზე ვრცელდებოდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მთავრობა ნავთობპროდუქტებზე აქციზის შემცირებას არ აპირებს

## მოსალოდნელია გაზის საფასურის ეტაპობრივი გაძვირებაც

საქართველოს მთავრობა ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას და ნავთობპროდუქტებზე აქციზის შემცირებას არ აპირებს. ამის შესახებ გუშინ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საწვავი ძვირდება, მთავრობა არც აქციზის შემცირების და არც მისი გაუქმების საკითხის განხილვას აპირებს. **"ნავთობზე აქციზის გადასახადი იგივე დარჩება, რაც დღემდე იყო,"** - აცხადებს ნოღაიდელი.

ამასთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი დარწმუნებულია, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის ზრდა საქართველოში სხვადასხვა პროდუქციის მნიშვნელოვან გაძვირებას არ გამოიწვევს.

**"სამწუხაროა, რომ საქართველო არ არის ნავთობის მწარმოებელი ქვეყანა და მას ნავთობის ფასების რეგულირებაში საკუთარი წვლილის შეტანა არ შეუძლია. თუმცა, მას შემდეგ, რაც თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი ამოქმედდება, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი მნიშვნელოვნად დარეგულირდება და ეს საქართველოს ეკონომიკაზე და ბაზარზეც აისახება,"** - იმედოვნებს ქვეყნის პრემიერი.

მთავრობის მხრიდან აქციზის საკითხის იგნორირებას კიდევ უფრო მეტად განმარტავენ ფინანსთა სამინისტროში და აცხადებენ, რომ აქციზის შემცირებით იკლებს საბიუჯეტო შემოსავლებიც, რაც ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების დაფინანსებაში პრობლემებს წარმოქმნის.

შეგახსენებთ, რომ ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა, მწარმოებელთა და მომხმარებელთა კავშირმა გუშინ საქართველოს მთავრობას ბენზინზე აქციზის შემცირება, ხოლო დიზელზე აქციზის გაუქმება მოსთხოვა. ამ მოთხოვნის მიზეზად კი საქართველოში ნავთობპროდუქტების ფასების ზრდა იქცა.

სხვათა შორის, გუშინვე, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კატეგორიულად უარყო ინფორმაცია, რომ უახლოეს მომავალში, შესაძლოა, გაზის საფასურიც გაიზარდოს, რომელსაც, ბუნებრივია, ელექტროენერგიის საფასურის ზრდაც მოჰყვება. ნოღაიდელის თქმით, ამჟამად ენერგეტიკის მინისტრსა და რუსეთის მხარეს შორის აქტიური მოლაპარაკება მიმდინარეობს და გაზის მნიშვნელოვნად გაძვირება ახლო მომავალში მოსალოდნელი არ არის.

სამაგიეროდ, მოსალოდნელია გაზის ეტაპობრივი გაძვირება. ამის თაობაზე კომენტარი გუშინ გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა დავით ინგოროყვამ განაცხადა. მისი თქმით, მოლაპარაკებები სწორედ იმის გამოა საჭირო, რომ "გაზპრომთან" წმინდა კომერციული ურთიერთობები ჩამოყალიბდეს და გაზის საფასურის გაძვირების პოლიტიკა, რასაც "გაზპრომი" ამ ბოლო დროს დსთ-ს ყველა ქვეყნის მისამართით აწარმოებს, საქართველოს მოსახლეობას ტვირთად არ დააწვეს.

შეგახსენებთ, რომ დღემდე საქართველოსთვის "გაზპრომის" მიერ მისი შვილობილი კომპანია "გაზექსპეორტის" მეშვეობით მოწოდებული გაზის საფასური 60 დოლარით განისაზღვრებოდა. ახლა "გაზპრომი" გაზის საფასურის გაზრდას 20 დოლარით გეგმავს. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური, რომელიც მოსკოვში მოლაპარაკების მიზნით გაემგზავრა, ცდილობს, "გაზპრომის" ხელმძღვანელობა გაზის ტარიფის 2006 წლიდან თანდათან, ეტაპობრივად გაზრდაზე დაითანხმოს.

ნიკა გილაური მოსკოვში გუშინ გაემგზავრა და რუსული ენერგოგიგანტის "გაზპრომის" წარმომადგენლებთან შეხვედრებს მართავს. გილაურთან ერთად მოსკოვში, საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი დავით ინგოროყვა და "გაზპრომის" საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი დავით მორჩილაძეც გაემგზავრნენ. მხარეები განიხილავენ ახალ ხელშეკრულებას, რომელიც 2006 წლიდან ამოქმედდება. კერძოდ, საუბარი შეხება რუსეთიდან საქართველოსთვის მოსაწოდებელი გაზის მოცულობებს, საქართველოს გავლით გაზის ტრანზიტსა და სხვა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და "გაზპრომს" შორის 25-წლიანი თანამშრომლობის პირველი ხელშეკრულება 2003 წელს გაფორმდა.

# გორში ჟურნალისტების ცემა ჩვეულებად იქცა



ომბუდსმენი ნაცემ ჟურნალისტთან.

პირველი გვერდიდან

**ზეწოლა ჩემზე აბსოლუტურად უკავშირდება ჩემს ჟურნალისტურ საქმიანობას,"** - ამბობს საბა წიწიკაშვილი.

მხარის გუბერნატორმა ჟურნალისტის ცემის ფაქტი შიდა ქართლში შექმნილ გამწვავებულ კრიმინოგენულ ვითარებას დაუკავშირა. "ახალი მემარჯვენეების" რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე მამუკა ფანიაშვილი მიიჩნევს, რომ ჟურნალისტის ცემა ქარელის ინტერესებში შედიოდა.

"გუბერნატორი პირველი იყო, რომელმაც წიწიკაშვილს რამდენიმე თვის წინ თვითონ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა," - ამბობს ფანიაშვილი.

გუშინ "ხალხის გაზეთის" ჟურნალისტის ცემის ფაქტს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გორის ოფისიც გამოეხმაურა და პრესკონფერენცია გამართა.

"ჟურნალისტების ცემის უკვე მესამე ფაქტია უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში," - განაცხადეს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

"ახალგაზრდა იურისტები" საბა წიწიკაშვილს, საჭიროების შემთხვევაში, იურიდიული დახმარების გაწევასაც დაჰპირდნენ.

# სულხან მოლაშვილს დღეს განაჩენს გამოუტანენ

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს სულხან მოლაშვილს განაჩენი უნდა გამოუტანოს.

სულხან მოლაშვილის ადვოკატის იოსებ ბარათაშვილის განცხადებით, სასამართლო ხელისუფლების დაკვეთას ასრულებს და, მათთვის უკვე ცნობილია, თუ რა განაჩენს გამოუტანს სისხლის სამართლის კოლეგია მოლაშვილს. **"პროკურატურა მოლაშვილისთვის 10-წლიან პატიმრობას ითხოვს და დარწმუნებული ვარ, რომ სასამართლო ასეთ განაჩენს გამოიტანს. თუმცა, ჩვენ მათ გადაწყვეტილებას აუცილებლად გავასაჩივრებთ საოლქო სასამართლოში",** - განაცხადა ბარათაშვილმა. როგორც ადვოკატი აცხადებს, მოლაშვილის დაცვის მხარეს ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს იმედი აქვს, რომელიც კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელის საქმეს უახლოეს მომავალში განიხილავს. **24 საათი**

# აეროპორტი - ტანჯული მშენებლობა

*მომავალ კვირას თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მოსამზადებელი სამუშაოები, ოქტომბრის ბოლოსთვის კი - მთავრობისთვის ასე "ნანატრი" ახალი აეროპორტის მშენებლობა დაიწყება. გუშინ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც, 15,5 წლის მართვის უფლებით თბილისის ახალი აეროპორტი თურქული კომპანიების, "ტავისა" და "ურბანის" გაერთიანებას გადაეცა. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის პარალელურად, თურქული კომპანიები ბათუმის აეროპორტის რეკონსტრუქციასაც განახორციელებენ.*

კომპანია "ტავი" და "ურბანი" თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობისთვის გამოცხადებულ ტენდერში, თურქულ კომპანია "ჩელებთან" და გერმანულ კომპანია "ტაკომთან" ერთად, თავიდანვე მონაწილეობდნენ. თუმცა, "ტაკომმა" თავიდანვე არ ისურვა ბათუმის აეროპორტის მშენებლობაში მონაწილეობის მიღება და, შესაბამისად, ტენდერს გამოეთიშა. რაც შეეხება კომპანია "ჩელებს", მან საკმარისი ფინანსური გარანტიები ვერ წარმოადგინა, რომლის ვადაც 2 სექტემბერს ამოეწურა.

ახლა თურქული კომპანიები მზად არიან, თბილისის და ბათუმის აეროპორტების მშენებლობა-რეკონსტრუქციაში 95 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელონ. კერძოდ, თურქული კომპანიების კონსორციუმი თბილისის აეროპორტში 62 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს, ბათუმის აეროპორტის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციას კი 15 მილიონი დოლარის ინვესტიციას მოახმარს. გარდა ამისა, თურქული კომპანიები 10 წლის განმავლობაში თბილისის ახალ აეროპორტში თანამედროვე ტექნოლოგიების დასანერგად 18,6 მილიონი დოლარის ინვესტიციას ჩადებენ.

"ტავმა" და "ურბანმა" თურქული ბანკებიდან ეკონომიკის სამინისტროში უკვე წარმოადგინეს 6,2 მილიონი დოლარის უპირობო გარანტია და, ასევე, 56 მილიონი დოლარის კორპორაციული გარანტია.

"ტავისა" და "ურბანის" გაერთიანება, ხელშეკრულების პირობების თანახმად, ვალდებულია თავისი მართვის პერიოდში აეროპორტის მოგების 10 პროცენტი ბიუჯეტში გადარიცხოს.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გენერალური დირექტორის ნიკა მანჯგალაძის განცხადებით, ერთ წელიწადში თბილისს საერთაშორისო სტანდარტების აეროპორტი ექნება. მისი თქმით, ახალი აეროპორტის მაკეტი უკვე მზად არის და მისი პრეზენტაცია ხვალ გაიმართება. ცნობისათვის, ახალ აეროპორტს ერთი ასაფრენი ბილიკი, ერთი საერთო დარბაზი, სამი საერთაშორისო ჩასხდომის და ორი ადგილობრივი რეისების გასასვლელი ექნება. ის პიკზე ორი ათასი მგზავრის გატარებას უზრუნველყოფს და მას ბოინგ 747 და აერობუს 330/340 ტიპის საჰაერო ხომალდების მიღება შეეძლება.

თურქული კომპანიების წარმომადგენლების განცხადებით, საქართველოში ასეთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება მათთვის დიდი პატივია. **"საქართველოში ჩვენს ჩამოსვლას თქვენი ქვეყნით სხვა ინვესტორების დაინტერესებაც მოჰყვება. ამის გარანტორები ჩვენ ვიქნებით,"** - განაცხადა "ურბანის" წარმომადგენელმა გურამ ქოქოლაძემ.

მთავრობის წევრები აღნიშნავენ, რომ კომპანიების, "ტავისა" და "ურბანის" დამფუძნებლები საქართველოდან დიდი ხნის წინ თურქეთში საცხოვრებლად გადასული ქართველები არიან.

2006 წლის ნოემბრისთვის ახალი აეროპორტი ბათუმსაც ექნება. ირაკლი ჩოგოვაძის განცხადებით, ბათუმის აეროპორტის რეკონსტრუქცია, სავარაუდოდ, მომავალი წლის მაისში დაიწყება და ნოემბერში დასრულდება. თუმცა, ჩოგოვაძის ინფორმაციით, თურქული კომპანიები ბათუმის აეროპორტიდან შემოსავლებს ვერ მიიღებენ. **"მათ 15,5 წლით მართვის უფლებით თბილისის აეროპორტი გადაეცათ და საქართველოში ჩადებულ ინვესტიციებს აქედან მიღებული შემოსავლით ამოიღებენ,"** - დასძინა მინისტრმა.

რაც შეეხება კომპანია "ჩელებს," როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ განაცხადა, ის ძალიან კარგი კომპანიაა, მაგრამ ამ პროექტის განხორციელებისთვის საკმარისი ფინანსური გარანტიები ვერ წარმოადგინა. თუმცა, როგორც მინისტრმა აღნიშნა, თუ "ჩელებს" მაინცდამაინც საქართველოში სურს ინვესტიციების განხორციელება, შეუძლია მონაწილეობა საქართველოს სხვა აეროპორტების მშენებლობაში მიიღოს.

# "GSP+" - სიახლე, რომელიც ევროკავშირისკენ გვიბიძგებს

პირველი გვერდიდან

გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გამართულ შეხვედრას, ბიზნეს-წრეების და მთავრობის წარმომადგენლების გარდა, ევროსაბჭოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი საქართველოში ტორბენ ჰოლცეც ესწრებოდა. ამ უკანასკნელმა ხაზი გაუსვა აღნიშნული პროგრამის მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკისათვის და განაცხადა, რომ ეს პროგრამა ევროკავშირთან დადებითი სავაჭრო ბალანსის დამყარებას შეუწყობს ხელს.

ცნობისათვის, ამჟამად ექსპორტი საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში 560 მილიონ დოლარს უტოლდება, მაშინ, როდესაც იმპორტი ევროკავშირიდან საქართველოში 960 მილიონ დოლარს აჭარბებს. საქართველოსთვის ევროკავშირში ყველაზე დიდ სავაჭრო პარტნიორებად გერმანია და დიდი ბრიტანეთი დასახელდა. გარდა ამისა, გუშინ ცნობილი გახდა, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობის დაახლოებით 30 პროცენტი სწორედ ევროკავშირზე მოდის. ეს ფაქტი საქართველოს მთავრობას იმედს აძლევს, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელება საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებას და ქვეყანაში ბიზნესის კიდევ უფრო განვითარებას შეუწყობს ხელს.

GSP+ სისტემას დადებითად აფასებენ საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში. **"GSP+ სისტემის დანერგვა სერიოზულად შეუწყობს ხელს ექსპორტზე ორიენტირებული ქართულ ბიზნესის განვითარებას. ვფიქრობ, რომ ახლა მთავრობამ ამ პროგრამის პოპულარიზაციაზე უნდა იზრუნოს. აუცილებელია, ყველა ბიზნესმენმა იცოდეს ამ სქემის გამოყენების შესახებ,"** - განაცხადა ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ.

ბიზნესის წარმომადგენლებს დეტალური ინფორმაციის მიღება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ან ევროკავშირის ვებგვერდზე (www.export-help.cec.eu.int) შეუძლიათ.

# "ინგლისის ისტორია" ინგლისური იუმორის გარეშე

დალი კუპრავა

ბრიტანეთის საბჭოებში შედგა წიგნის პრეზენტაცია - ივანე მენთეშაშვილის "ინგლისის ისტორია". "ივანე მენთეშაშვილს ვიცნობ როგორც პედაგოგს, თარჯიმანს, ისტორიკოსს. ეს ის ისტორიკოსია, რომელიც ქვეყნის ისტორიას მხოლოდ იმ ქვეყნის ჭრილში არ ხედავს," - ამბობს ინესა მერაბიშვილი, ბაირონოლოგი, უცხო ენების უნივერსიტეტის პროფესორი.

**"მე ის გავიცანი, როგორც ლინგვისტი, ერთ-ერთ შეხვედრაზე. ახლა მან მომცა საშუალება, რომ ვნახო - ის კარგი ისტორიკოსია. ამ წიგნის ავტოგრაფიანი ეგზემპლარით ვამაყობ - ისღა დამრჩენია, რომ ქართული ვისწავლო, რათა დამოუკიდებლად წავიკითხო და მთელი პასუხისმგებლობით თქვენც გითხრათ, რომ სიმართლეს კითხულობთ,"** - უთხრა პრეზენტაციაზე დამსწრეებს დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში სერ დონალდ მაკლარენმა. ელჩმა მადლობა ბრიტანეთის საბჭოსაც მოახსენა წიგნის გამოცემაში გაწეული დახმარებისთვის. ბრიტანეთის საბჭო კი, თავის მხრივ, მოხარულია, რომ ასეთ კარგ წიგნს დაეხმარა.

ეს წიგნი ინგლისის ისტორიაა უძველესი კელტური ხანიდან ოცდამეერთე საუკუნემდე. მასში პოლიტიკური, ეკონომიკური, სოც-კულტურული საკითხებია განხილული. წიგნი გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო სპექტრისთვის.

**"შევეცადეთ, არსებული წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით გაგვეაზრებინა ინგლისი - თავისებურებებით სავსე ქვეყანა, რომელიც ყოველთვის მოწინავე პოლიტიკური თუ ეკონომიკური იდეებისა და გარდაქმნების ქვეყანა იყო და, ამავე დროს, თავის პირველად იერსახეს ინარჩუნებდა,"** - თქვა ივანე მენთეშაშვილმა. მართლაც, ტრადიციები, მონარქია, წარჩინებულთა წრე, ლორდთა პალატა და ყველა ის მომენტი, რაც ამ წრესთან არის დაკავშირებული, "ძველია" და, ამასთან ერთად, ყოველთვის არის სიახლეები - მოყოლებული თავისუფლების ქარტიიდან, პარლამენტი, რევოლუცია მრეწველობაში, კულტურა ... **"ცნობილი კონფლიქტის დროს ფოლკლენდის კუნძულებთან დაკავშირებით, ინგლისმა, რომელსაც მსოფლიო პოლიტიკა მე-20 საუკუნის ბოლოს უკვე მეორე ეშელონში მიიჩნევდა, მოიქნია**



წიგნის ავტორი ივანე მენთეშაშვილი და დიდი ბრიტანეთის ელჩი დონალდ მაკლარენი.

**კუდი და მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ ის ძველი, ტრადიციული ინგლისია, და ქვეყნის ღირსება არავის შეალახვინა,"** - სიამაყით ამბობს წიგნის ავტორი.

ბატონი ვანო კონსერვატორია და სიახლეებს ცოტა ძნელად კი ვეგუებიო, ამბობს. მაგრამ **"ვცდილობ, თავგადაკლული კონსერვატორი არ ვიყო და "შუღლისგან" თავი შორს დავიჭირო. ინგლისი ხომ ტრადიციებს უფრთხილდება და, ამავე დროს, წინსვლაზე და პროგრესზე უარს არ ამბობს, ხშირად მედროშეცაა,"** - ამბობს ვანო მენთეშაშვილი და სწორედ ეს შეთავსება მიაჩნია მნიშვნელოვნად: ყველაფრის შეთავსება, გააზრება, ტრადიციის გაფრთხილება და ახლის მიღება.

ირანული წარმოშობის მწერალი რუშდი, ინდური წარმოშობის მწერალი ირვინი, პაკისტანელი სპორტსმენი ჰუსაინი - ბრიტანელები არიან და ტრადიციული ინგლისისთვის ეს რომ ბუნებრივი მოვლენაა, ალბათ, ეს არის ინგლისური "მოქნილობა". ინგლისი ხომ დიდი იმპერია იყო და ორივე ნახევარსფეროზე, ეკვატორს ზევით და ქვევით გადაჭიმულმა იცოდა, რომ სხვა რასისთვის ზურგის შექცევა არ შეიძლება. ინგლისს ეს ქვეყნები მსოფლიო ასპარეზზე გამოჰყავდა - პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და საზოგადოებრივ პროცესში ჩართავდა. თომას მაკკოლეი მე-19 საუკუნეში ამბობდა : "ინდოელები, რომლებიც ევროპულ კულტურას ეზიარნენ, მალე, ალბათ, გარკვეულ უფლებებს მოითხოვენო. არ ვიცი, ეს როდის მოხდება, მაგრამ როცა მოხდება, ეს უდიადესი დღე იქნება ინგლისის ისტორიაში."

ინდოეთის გათავისუფლების შემდეგ, ქალაქ მადრასში გამოფენილი იყო მეცხრამეტე საუკუნის გუბერნატორის, სერ ტომას მონროის პორტრეტი. როცა უცხოელებმა ინდოელებს ჰკითხეს, მჩაგვრელის პორტრეტი ასე საჯაროდ რას გამოგიფენიათო, პასუხად - "ჩვენ მათით ვამაყობთო", მიიღეს. ეს გათვისება და გაცნობიერებაა, ინგლისურის და ინდურის შეწყვილება სხვაგვარად ძნელი იქნებოდა," - ამბობს "ინგლისის ისტორიის" ავტორი ივანე მენთეშაშვილი.

# აფხაზეთში მინიმალური ხელფასის ოდენობა ორი ათას რუბლამდე გაიზარდა

ზურაბ აფხაზავა
სოხუმიდან

ამგვარი გადაწყვეტილება ქვეყნის ხელისუფლებამ გასულ კვირას მიიღო. ამ რევოლუციურ გადაწყვეტილებას შეუძლია რადიკალურად შეცვალოს ხელფასებიდან გადასახადების გადახდის არსებული სისტემა. აქამდე მინიმალური ხელფასის 500 მანეთი იყო. ამჟამად ეს ციფრი ოთხჯერ გაიზარდა. ხელისუფლების გადაწყვეტილება მხოლოდ არასაბიუჯეტო სფეროში მომუშავეებს ეხება. ორი ათასი მანეთი დაახლოებით 70 დოლარია.

უნდა ითქვას, რომ მინისტრთა კაბინეტი ამ პოპულარული გადაწყვეტილების მიღების დროს, პირველ რიგში, ბიუჯეტში შემომავალი თანხების მკვეთრ ზრდაზე ფიქრობდა, რაც საშემოსავლო გადასახადისა და არასაბიუჯეტო სახელფასო გადასახადების ხარჯზე უნდა მოხდეს.

საქმე ისაა, რომ არასაბიუჯეტო სფეროში მინიმალური ხელფასის ოდენობამ, უკვე კარგა ხანია, 70-დოლარიან ზღვარს გადააჭარბა. თუმცა, ოფიციალურად, საგადასახადო ანგარიშგებაში, კერძო ფირმების მიერ დეკლარირებულია მხოლოდ 10-15-დოლარიანი ხელფასი და სწორედ ამ თანხის მიხედვით ხდება საშემოსავლო გადასახადის გადახდა.

ამჟამინდელი ხელისუფლება პირველივე სამუშაო დღეებიდან აცხადებდა, რომ ბიუჯეტის შესავსებად აუცილებელია არასაბიუჯეტო ორგანიზაციებში მომუშავეთა მინიმალური ხელფასის გაზრდა.

ეკონომისტები უკვე წინასწარმეტყველებენ, რომ ამ გადაწყვეტილების წყალობით მომავალი წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი საგრძნობლად გაიზრდება. რაც შეეხება მეწარმეებს, ისინი გადასახადების ზრდის ამგვარი ტემპებით აღშფოთებულნი არიან.

## მოკლედ

### ხელისუფლებაში მორიგი საკადრო გადაადგილებები იგეგმება

ერთ-ერთი ვერსიით, პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ირაკლი ოქრუაშვილი, მეორე ვერსიით კი ალექსანდრე ლომაია მოიაზრება.

ასევე, კულუარული ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი კვლავ ფინანსთა სამინისტროს უხელმძღვანელებს, თავდაცვის მინისტრის თანამდებობას კი ამჟამინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი დაიკავებს. შს მინისტრი კი თბილისის პოლიციის უფროსი მერაბ ბაღათურია გახდება.

პრემიერ-მინისტრის თანამდებობასთან დაკავშირებით განსხვავებული ვერსიაც ვრცელდება, რომლის მიხედვით, ამ თანამდებობას მიხეილ მაჭავარიანი დაიკავებს. ამ საკითხთან დაკავშირებით, რადიკალურად განსხვავებული ინფორმაციაც არსებობს, რომლის თანახმადაც, მიხეილ მაჭავარიანი პოლიტიკას საერთოდ ჩამოშორდება და რამიშვილ-ბექაურის სკანდალთან დაკავშირებით, შესაძლოა, მისი პასუხისმგებლობის საკითხიც დაისვას.

სახელისუფლებო წრეები საკადრო გადაადგილებების შესახებ კომენტარს არ აკეთებენ. **ინტერპრესნიუსი**

### მიხეილ სააკაშვილი გათავისუფლებულ "კმარელებს" შეხვდა

მსოფლიოში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრება საქართველოს ხელისუფლებისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება.

როგორც გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში "კმარას" აქტივისტებთან გამართულ შეხვედრაზე, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, საქართველო კვლავ დაუჭერს მხარს მსოფლიოში დემოკრატიული პროცესების განვითარებას, თუმცა ამას კანონიერების ფარგლებში გააკეთებს და თავის ნებას არავის მოახვევს.

სააკაშვილის განცხადებით, ბელორუსში დაკავებული "კმარას" ორი აქტივისტის - გიორგი კანდელაკის და ლუკა წულაძის - გათავისუფლებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ და ამის გამო მიხეილ სააკაშვილმა საგარეო უწყებას მადლობა გადაუხადა.

საქართველოს პრეზიდენტმა ასევე უკრაინულ მხარესაც გადაუხადა მადლობა. მისი თქმით, ბელორუსში დაკავებული ქართველების გათავისუფლებაში მნიშვნელოვანი წვლილი უკრაინის ხელისუფლებამ და მისმა საგარეო უწყებამაც შეიტანა.

პრეზიდენტის თქმით, საქართველო ვერ შეეგუება მისი მოქალაქეების მიმართ რაიმე უკანონო ქმედებას და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ საქართველოს მოქალაქეებმა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში თავი დაცულად იგრძნონ.

პრეზიდენტმა საქმიანობა მოუწონა "კმარას" აქტივისტებს და განაცხადა, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საქმეა.

ქართველი "კმარელები" მინსკში 24 აგვისტოს დააკავეს. 25 აგვისტოს ბელორუსის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა ისინი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევაში დაადანაშაულა. **ინტერპრესნიუსი**

### პარლამენტის თავმჯდომარე აშშ-ში გაემგზავრა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე გუშინ სამდღიანი ვიზიტით ნიუ-იორკში გაემგზავრა.

ნინო ბურჯანაძე გაეროს შტაბბინაში გამართულ მსოფლიო პარლამენტების თავმჯდომარეების კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას.

პარლამენტის თავმჯდომარე გაეროს საგარეო ურთიერთობების საბჭოს სხდომაზე მოხსენებით გამოვა, სადაც საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე ისაუბრებს.

სამიტის ფორმატში გაიმართება სუამის ქვეყნების პარლამენტის სპიკერთა ოფიციალური შეხვედრა. ვიზიტის ფარგლებში ნინო ბურჯანაძე ბალტიის რეგიონის პარლამენტების სპიკერთა შეხვედრას წარუძღვება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სამი დღის განმავლობაში შეხვედრებს გამართავს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერთან ბორის გრიზლოვთან, ჰოლანდიის წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარესთან ფრანს ვისგლასთან, ესპანეთის დეპუტატთა პალატის პრეზიდენტთან მანუელ მარინსთან, თურქეთის ეროვნული ასამბლეის სპიკერთან ბულენ არინსთან, იტალიის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარესთან პიერ-ფერდინანდო კასინისთან, ესტონეთის პარლამენტის სპიკერთან ენ ერგმასთან, ევროპის საბჭოს საპრლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან რენე ვან დერ ლინდენთან, უკრაინის უმაღლესი რადის სპიკერთან ვლადიმერ ლიტვინთან, ისრაელის ქნესეთის სპიკერთან როვონ რივლინსთან, საბერძნეთის პარლამენტის პრეზიდენტთან ანა რსარუდა ბენაკსთან, კანადის თემთა პალატის სპიკერთან პიტერ მილიკენთან და კანადის სენატის სპიკერთან დენიელ ჰეისთან. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "უკონტაქტო ბრძოლები" პარლამენტში

პირველი გვერდიდან

**"გამყრელიძემ ხელი დააფარა მაშინდელ მთავრობას, რომელმაც ბიუჯეტი გაარღვია, და ბრალდებები სულ სხვა მიმართულებით წარმართა,"** - აღნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. იგი არ გამორიცხავს, გამოვიდეს ინიციატივით, რომ შესწავლილი იქნეს, თუ რამდენად ობიექტურად მიუდგა საკითხს მაშინდელი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე და უსამართლო დასკვნებისთვის დავით გამყრელიძეს პასუხი აგებინოს...

ზოგიერთ დეპუტატს, როგორც ჩანს, მაჭავარიანისა და გამყრელიძის ურთიერთბრალდებების მოსმენა მობეზრდა და სურს, რომ მათ შორის დავას რაც შეიძლება მალე დაესვას წერტილი.

**"რატომ ვხუჭავთ თვალს და ვიქცევით ისე, თითქოს, არაფერი მომხდარა? არადა, ხომ ფაქტია, რომ მოხდა! მოდით, დავსხდეთ ფრაქციის სხდომაზე და ერთხელ და სამუდამოდ გავარკვიოთ, ვინ არის დამნაშავე - მე, თქვენ, ბექაური, რამიშვილი თუ სხვა ვინმე,"** - მიმართავს ბესო ჯუღელი ვიცე-სპიკერს.

თუ ვის მხარეზეა ფრაქცია "მაჟორიტარის" თავმჯდომარის სიმპათია, ბიუროს გუშინდელ სხდომაზე მის მიერ გაკეთებული განცხადება ადასტურებს.

**"თავის დროზე, დავით გამყრელიძე პირველი ბანდიტი იყო. მან მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაცაციას ხელშეწყობით, დაზღვევის მთელი ბიზნესი ჩაიგდო ხელში,"** - აცხადებს ბესო ჯუღელი.

თუმცა, "ბანდიტობის" შესახებ თავისი მოსაზრება აქვს "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელს მანანა ნაჭყებიას, რომელმაც ბიუროს სხდომაზე ჯუღელს პოლემიკა გაუმართა.

**"საზოგადოებაში თქვენზეც ასეთივე აზრი არსებობს,"** - უმტკიცებდა ნაჭყებია ოპონენტს.

მაჭავარიანი-გამყრელიძის კონფლიქტს პარლამენტში დღესაც ექნება გაგრძელება: საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ბექაური-რამიშვილის ინციდენტში მიხეილ მაჭავარიანის შესაძლო მონაწილეობის საკითხი განიხილება.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

მაჭავარიანმა მაგიდაზე სპიკერის ჩაქუჩის დარტყმით საშემოდგომო სესია გახსნა და... გამყრელიძეს "ეძგერა".

**"იმედს ვიტოვებ, რომ დავით გამყრელიძე დაგვდებს პატივს და ამ სხდომაზე გამოცხადდება. უნდა მოვისმინოთ, რა სურს მას და რა ინფორმაციას ფლობს მაჭავარიანის საქმიანობასთან დაკავშირებით,"** - აცხადებს კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი.

### ... და საქმე

ასეთ არასასიამოვნო პოლიტიკურ ფონზე იწყება პარლამენტის საშემოდგომო სესია, რომლის პირველი სამუშაო კვირა საკომიტეტო მოსმენებს დაეთმობა, პლენარული სხდომები კი მომავალ კვირაში ჩატარდება. საკომიტეტო მოსმენებზე, ძირითადად, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის საკითხი განიხილება.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი კოვზანაძის თქმით, პრიორიტეტული მიმართულებები უცვლელი რჩება. ესენია: სოციალურ-ეკონომიკური სფერო, ჯანდაცვა, ენერგეტიკა, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება... "ზედმეტი" 26 მილიონი ლარიც სწორედ ამ სექტორებში გადანაწილდება.

პარლამენტის სხდომებზე განსახილველი დოკუმენტებიდან მიხეილ მაჭავარიანი გამოყოფს, აგრეთვე, თვითმმართველობისა და საპენსიო სფეროების რეფორმირებასთან დაკავშირებულ კანონპროექტებს. **"ძალიან საინტერესო სესია გველის,"** - ვარაუდობს ვიცე-სპიკერი.

პარლამენტის ბიუროს მიერ დამტკიცებული დღის წესრიგიდან დიპლომატიურ უწყებაში დაგეგმილი საკადრო ცვლილებებიც იქცევს ყურადღებას: პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე, ახლო მომავალში პარლამენტი ზურაბ ჭიაბერაშვილს ევროსაბჭოსთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად დაამტკიცებს, კარლო (კახა) სიხარულიძეს ჩეხეთში საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად განამწესებს, ხოლო ზაზა კანდელაკს პოლონეთში საქართველოს ელჩის თანამდებობიდან გაათავისუფლებს.

# "პუტინს ჩამოაგდებს სამოქალაქო საზოგადოება"

პირველი გვერდიდან

*დარბაზი, სადაც სტუმართა შორის იყვნენ აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი, პოლიტოლოგი ზბიგნევ ბჟეზინსკი, პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი ლეხ ვალენსა, ფეხზე წამოდგომით მიესალმა სერგეი კოვალიოვს. "24 საათთან" ინტერვიუში, რომელიც ვარშავაში ჩაიწერა, კოვალიოვი სწორედ რუსეთში არსებულ პოლიტიკურ ამინდზე და საქართველოსთან კრემლის დამოკიდებულებაზე საუბრობს.*

- ოპოზიცია რუსეთში? რას ამბობთ... ყველა ის პარტიები, "იაბლოკოები" და "მემარჯვენე ძალთა გაერთიანება" არანაირი ოპოზიცია არ არის. როდესაც არსებობს ისეთი რეჟიმის ოპოზიცია, როგორი რეჟიმიც არის დღევანდელი კრემლი, ოპოზიციის წარმომადგენლები ერთმანეთში სკამებსა და ქულებს არ ინაწილებენ. ასეთ შემთხვევაში მათ არ აინტერესებთ ქულები, რადგან საზოგადოებრივი გრძნობები ამოქმედებთ და სამშობლოს გადარჩენისთვის იბრძვიან. ეს კი ჩვენთან არ არის. შემიძლია ძალზე ნათელი მაგალითიც მოგიყვანოთ. ქალბატონმა ირინა ხაკამადამ ახლა ოპოზიციური პარტია შექმნა და პრეზიდენტ პუტინთან მიმართებაში მკაცრ განცხადებებს აკეთებს, რითიც ნამდვილად სწორად და მართებულად იქცევა. მაგრამ, რას აკეთებდა იგი ერთი წლის წინ? იყო "მემარჯვენე ძალთა გაერთიანების" ერთ-ერთი ლიდერი და ამასთანავე ინიციატორი, შექმნილიყო კომისია, რომელსაც "ნორდ-ოსტში" მძევალთა აყვანის და კრემლის ქმედების საკითხი უნდა განეხილა. კომისია შეიკრიბა, 3 დღე იმუშავა და დაასკვნა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო. მართალია, იყო დიდი მსხვერპლი, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთი საზიზღრები არიან ეს ტერორისტები, ხოლო ხელისუფლების გადაწყვეტილება მართებული იყო - აი, რა გადაწყვიტა კომისიამ, რომელშიც ქალბატონი ხაკამადა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. შემდეგ, მან საჯაროდ განმარტა, რომ პრეზიდენტი იტყუება. ვლადიმირ პუტინმა ჟურნალისტებთან იცრუა, როდესაც თქვა, რომ გამოყენებული მასალები, კერძოდ - გაზი, ჯანმრთელობისთვის სახიფათო არ ყოფილა. როდესაც ხაკამადას ჰკითხეს, ადრე რატომ ამბობდა, რომ ყველაფერი სწორად გაკეთდა, მან უპასუხა: მე იმედი მქონდა, რომ პუტინი თავის საქციელს მოინანიებდა და ბოდიშს მოიხდიდა.

აი, თქვენი საუბარიც ოპოზიციაზე.

**- რაც შეეხება რუსეთის პრეზიდენტს, როგორი პიროვნება ან პოლიტიკოსია იგი?**

- ის, ისევე როგორც მისი გარემოცვა, ტყუილის თქმას არ ერიდება. მას გავლილი აქვს ტყუილის სკოლა და მსგავსი საქციელი მისთვის ჩვეულია. ამასთან, ძალზე ბოლმიანია - სხვათა შორის, ელცინისგან განსხვავებით. ყოფილ პრეზიდენტს ბევრი რამ შეგვიძლია ვუსაყვედუროთ, მაგრამ ბოღმას მას ვერ დავაბრალებთ.

**- როგორია რუსეთის მომავალი, თვით პრეზიდენტ პუტინის მომავალი იმ პირობებში, როცა მხარდამჭერთა რაოდენობა მცირდება?**

- პუტინს მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი უჭერს მხარს, რაც მისი დამსახურება არ არის. ეს ეგრეთ წოდებულ დემოკრატთა ბრალია. ეს იმ ხალხის ბრალია, რომელიც საკუთარ თავს დემოკრატიულ ოპოზიციას უწოდებს.

**- კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას თქვენ ახსენეთ კრემლის წინააღმდეგ მოსალოდნელი რევოლუცია. რას გულისხმობთ ამ პროგნოზში?**

- ვფიქრობ, მხოლოდ ერთ რამეს უნდა ველოდოთ - რუსეთში დროის იმ მონაკვეთში, რომლის წინასწარ გამოცნობა წარმოუდგენელია, ბოლოს და ბოლოს აღმოცენდება სამოქალაქო საზოგადოება. არცთუ შორეულ მომავალში შეგვიძლია ველოდოთ საზოგადოებრივ, სოციალურ კეთილდღეობას, თუმცა არა იმ პოლიტიკურ პარტიათა მხრიდან, რომლებიც დღეს რუსეთშია, რადგან ეს პოლიტიკური პარტიები უკვე წარსულია. ჩვენ მხოლოდ სამოქალაქო ორგანიზაციებისგან შეგვიძლია ველოდოთ რაღაც ნორმალურს. პოლიტიკურ პარტიებს კი შეუძლიათ გარკვეული ძალა მოიკრიბონ, თუმცა ესეც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო საზოგადოებაზე და ორგანიზაციებზე ორიენტირებულნი იქნებიან. ვინ არის სახლში უფროსი? პოლიტიკოსები თუ საზოგადოება? რასაკვირველია, საზოგადოება. ჰოდა, ასეთ შემთხვევაში, პოლიტიკოსები ამ საზოგადოებას უნდა ემსახურონ.

**- ზოგადად, რევოლუციის ფაქტორს როგორ აფასებთ?**

- მე რევოლუციების მომხრე არ ვარ, მაგრამ ის, რაც ბოლო დროს ყოფილი საბჭოთა კავშირის რიგ ქვეყნებში ხდებოდა, არც კი ვიცი - რევოლუციაა თუ არა. ეს არა ხელისუფლების ძალისმიერი ცვლაა, არამედ საზოგადოების ბუნებრივი და მნიშვნელოვანი მოთხოვნაა. თუ გნებავთ, ამას დავარქვათ სამოქალაქო საზოგადოების უფლება, ხელისუფლებას საკუთარი მოთხოვნები წარუდგინოს და მათი შესრულება გააკონტროლოს. რა მოხდა "ვარდების რევოლუციისას" საქართველოში ან "ნარინჯისფერი რევოლუციის" დროს კიევში? არავის ხომ არ უსვრია. ხალხი გამოვიდა და თქვა, რომ ფალსიფიცირებული არჩევნები არ სურდა.

**- არის თუ არა უკვე გამოკვეთილი ლიდერი, რომელიც ვლადიმირ პუტინის შემცვლელად შეიძლება მოვიაზროთ?**

- იცით, თუ პუტინს ვინმე გადმოაგდებს, ეს მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება იყოს. ლიდერს კი რაც შეეხება, რუსეთი დიდი ქვეყანაა, წინამძღოლი მოიძებნება.

**- რაც შეეხება საქართველოს, როგორ აფასებთ მოსკოვის პოლიტიკას ჩვენთან მიმართებაში და, ზოგადად, ჩვენს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას?**

- თქვენ უკეთ იცით, რა ვითარებაა დღეს საქართველოში და რა ხდება იქ. მე მხოლოდ შემიძლია, ჩემს ქართველ მეგობრებს კეთილდღეობა ვუსურვო. მე შემიძლია, ძალზედ გამოკვეთილ რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე ვისაუბრო.

იცით, ერთ ადამიანს ყველაზე მეტად მეორე როდის ეზიზღება? მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელს ძალიან ბევრი ცუდი რამ გაუკეთა. საქართველო-რუსეთის ურთიერთობების უახლეს ისტორიას თუ გავიხსენებთ, გავიხსენებთ იმას, თუ როგორ იქცეოდნენ რუსები აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში. გავიხსენებთ, რომ ახლა, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დაახლოებით 80 პროცენტი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა.

კრემლს მიაჩნია, რომ აფხაზეთის ტერიტორიის მიღება შეუძლია, და თუ არა, ყოველ შემთხვევაში, შეუძლია, ხელები გადაუგრიხოს საქართველოს და პრეტენზია წაუყენოს, რომ ეს მისი მიწებია. ამ ტერიტორიაზე რუსეთის მოქალაქეები არიან დასახლებულნი და მას საკუთარი მოქალაქეების დაცვა შეუძლია. მეტიც, ვალდებულია ეს გააკეთოს. აი, რაში მდგომარეობს მთელი თამაში.

**- კონფერენციაზე "სოლიდარნოსტიდან თავისუფლებამდე" სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტებმა ყურადღება ბელარუსზეც გაამახვილეს და მინსკის გათავისუფლების აუცილებლობას ხაზი გაუსვეს. მათ შორის იყო საქართველოს პრეზიდენტიც. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა მოხდება ბელარუსში?**

- ვშიშობ, რომ ბელარუსში რაღაც ცვლილების მოლოდინი მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როცა რაღაც მოხდება მოსკოვში.

უცხოეთი

# ეგვიპტის ისტორიული არჩევნები

საად ედინ იბრაჰიმი
იბნ ხალდუნის ცენტრის დირექტორი

დღეს ეგვიპტელ ხალხს პრეზიდენტობის ათ კანდიდატს შორის მოუწევს არჩევნის გაკეთება. ქვეყნის პირველი პირის სავარძლის დასაკავებლად 24-წლიანი მმართველობის შემდეგაც იბრძვის ეგვიპტის მოქმედი პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაკი. მართალია, ზოგიერთები მისი თანამდებობაზე დარჩენის შანსებს სკეპტიკურად აფასებენ, მაგრამ მრავლად არიან ისეთები, რომლებიც ინტენსიურად და დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს მიმდინარე პროცესს.

საარჩევნო პროცესის მსვლელობას გააკონტროლებს 6000, სპეციალურად ამ მოვლენისთვის მომზადებული ადგილობრივი დამკვირვებელი. გარდა ამისა, ქვეყანაში ასობით უცხოელი ჟურნალისტი იმყოფება. მართალია, ერთი შეხედვით, დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად ყველა ფორმალური მხარე წესრიგშია, მაგრამ პატიოსანი არჩევნების მნიშვნელოვანი გარანტიები მაინც არ არსებობს.

მიუხედავად საპირისპიროს მტკიცებისა, ძნელია იმის თქმა, რომ ამ პროცესში ყველა კანდიდატი თანაბარ მდგომარეობაში იმყოფება. მუბარაკი ჯერ კიდევ ფლობს აშკარა უპირატესობას: ცნობადობა, სახელმწიფოს მიერ ელექტრონულ მედიაზე გავრცელებული - სრული, ბეჭდვით მედიაზე კი ნაწილობრივი (85 პროცენტი) - მონოპოლია.

არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ზოგიერთმა ოპოზიციონერმა კანდიდატმა ძლივს მოახერხა თავისი საარჩევნო კამპანიის მხარდამჭერი რეკლამის ეგვიპტის ტელევიზიის ეთერით გაშვება. საარჩევნო კომისიის წევრები მუბარაკის მიერ არიან დანიშნულები. აშკარაა, ეგვიპტის მოქმედი პრეზიდენტი შანსებს არ უტოვებს კონკურენტებს.

2000 წლის შემდეგ, არჩევნების მსვლელობას მეთვალყურეობას უწევს ეგვიპტის 8000 მოსამართლე (უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობით). ასევე, სასამართლო ხელისუფლება ამტკიცებს არჩევნების შედეგებს. ეს სამართლიანი არჩევნებისკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი იყო, რადგანაც პროფესიონალ მოსამართლეთა კავშირი ჭეშმარიტად მიუკერძოებელ სამართლებრივ ორგანოდ ითვლებოდა უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

ამიტომაც იყო, რომ მუბარაკის რეჟიმმა უკან არაფერზე დაიხია მოსამართლეთა გასანეიტრალებლად. საჭირო გახდა, "სასამართლო ხელისუფლების სისტემის" მცნების გაფართოება, რათა მასში ადგილი დაეკავებინა მთავრობის მიმართ ლოიალურად განწყობილ ათასობით იურისტის ხარისხის მქონე, თუმცა, მოსამართლედ მუშაობაში გამოუცდელ პიროვნებას. ეს, რა თქმა უნდა, ხელფეხს უკრავს ნამდვილ მოსამართლეებს. ბუნტის შემთხვევაში მათ საქმე ქვეყნის არცთუ კარგი რეპუტაციის მქონე შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ექნებათ.



მუბარაკი ჯერ კიდევ ფლობს აშკარა უპირატესობას.

როგორც ხედავთ, მოსამართლეთა კავშირმა დაკარგა დამოუკიდებლობა. 2000 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, მუბარაკის მმართველმა პარტიამ ჭეშმარიტი მოსამართლეების მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ უბნებში ხმების მხოლოდ 38 პროცენტი მიილო მაშინ, როცა 86 პროცენტიანი შედეგი დაფიქსირდა იმ რაიონებში, სადაც "ფსევდო-მოსამართლეები" დომინირებდნენ.

დაპირებების მიხედვით, ამ წელს ყველაფერი სხვაგვარად იქნება. გაზაფხულზე ეგვიპტელმა მოსამართლეებმა ყრილობა ჩაატარეს და გადაწყვიტეს, რომ თუ რეჟიმი მათ საარჩევნო პროცესში დამოუკიდებელი დაკვირვების უფლებას არ მისცემდა, ისინი უარს იტყოდნენ მომავალ საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნების მეთვალყურეობაზე. ორ სექტემბერს უკვე საბოლოო მოთხოვნებიც წამოაყენეს: სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების საარჩევნო პროცესში ჩართვა, ლეგიტიმური მოსამართლეების მუშაობაში ჩაურევლობის გარანტია. ისინი ასევე ითხოვენ, რომ არც ერთმა საარჩევნო ყუთმა არ უნდა დატოვოს უბანი, ვიდრე ბიულეტენები არ დაითვლება და არ დამტკიცდება მოსამართლეების მიერ.

თუმცა, როგორც ჩანს, სიტუაცია არც ამჯერად შეიცვლება. ამის პირდაპირი დასტურია საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ეგვიპტის ტელევიზიით საჯაროდ გაკეთებული განაცხადი, რომლის მიხედვითაც, არჩევნების პროცესში ჩარევა მოქალაქეებს აეკრძალათ.

კარსმომდგარი არჩევნების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა საზოგადოების ცხარე კამათი არჩევნებში მონაწილეობის მიღება-არმიღებასთან დაკავშირებით. ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ თავის წევრებს ხმის მიცემის იმ წესების წინააღმდეგ გალაშქრებისკენ მოუწოდა, რომელიც მუბარაქის წისქვილზე ასხამს წყალს. თავის მხრივ, ეგვიპტის ერთადერთმა ძლიერმა ოპოზიციურმა პარტიამ "მუსლიმთა ძმობამ" მომხრეებს მოქალაქეობრივი ვალის მოხდა და არჩევნებში მონაწილეობის მიღება სთხოვა, თუმცა, ერთი პირობით - მხარი არ უნდა დაუჭირონ არც ერთ "დესპოტურ და კორუმპირებულ მმართველს". ეს შეფარული, ამავე დროს, აშკარა უნდობლობის გამოხატვაა მუბარაკის მიმართ, ადამიანისა, რომელიც მთელი 24 წლის განმავლობაში ერთპიროვნულად მართავს ეგვიპტეს.

მთავრობის წინააღმდეგობის მიუხედავად, სამოქალაქო საზოგადოების 34 ორგანიზაცია ათასობით ახალგაზრდა ეგვიპტელს ამზადებს ხმის მიცემის პროცესზე თვალყურის სადევნებლად. ამ ჯგუფების აზრით, თუ ამჟამინდელი ხელისუფლება არჩევნების გაყალბებას არ გეგმავს, მაშინ არც საშინაო და არც საგარეო დამკვირვებლების იქ ყოფნა პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. ხელისუფლება შეეცადა, ადგილობრივი დამკვირვებლების საარჩევნო პროცესში ჩარევის ფაქტი ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფად და მოსამართლეთა შეურაცხყოფად შეერაცხა. თუმცა, ეს განცხადება მას შემდეგ გაცამტვერდა, რაც მოსამართლეთა კავშირმა სამოქალაქო საზოგადოების დამკვირვებელთა მიმართ მხარდაჭერა გამოხატა.

თუ მუბარაკის რეჟიმი არ შეუშინდება იმ პრობლემას, რომელიც მას სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარებას აიძულებს, ან თუ ძველებური ოსტატობით ვერ მოახერხებს არჩევნების გაყალბებას, მაშინ პროცესების ამჟამინდელი მდინარება მომავალ ოთხშაბათს გასამართ არჩევნებს კარგს არაფერს უქადის. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ პირველად ამდენი ხნის განმავლობაში, ეგვიპტელებს საშუალება ეძლევათ, გამოიწვიონ აქამდე დაუმარცხებელი ტირანი და ახალნაპოვნი თავისუფლებით დატკბნენ.

*პროექტი სინდიკატი, 2005წ.*

# რუსული გაზი, ევროკავშირი და რევოლუციური გარდაქმნები პოსტსაბჭოთა სივრცეში

პირველი გვერდიდან

საგულისხმო იყო, რომ ამ შეხვედრაზე პუტინმა უკრაინის ხელისუფლებას პირდაპირ დასდო ბრალი ევროპაში გაზის მიწოდების ხელის შეშლაში. ასე რომ, კრემლში შეხვედრის პათოსიდან გამომდინარე, გერმანიაში სტუმრობა სხვა ლოგიკისაც ეხმაურება. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინა დიდი ხანია, გადაიქცა რუსეთსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის საგნად და ალბათ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ამ პროცესში გერმანიას და მის მომავალ ლიდერს უმნიშვნელოვანესი როლი დაეკისრება.

თუმცა, პუტინი ცდილობს, აღარ გაიმეოროს კიევში დაშვებული შეცდომები და ბერლინში ამჟამინდელი სტუმრობისას თავისი მეგობარი შრიოდერის გარდა, მის კონკურენტ ანგელა მერკელთანაც გამართავს კონსულტაციებს. ამ უკანასკნელს, მიუხედავად მოქმედ კანცლერთან კვირას გამართულ დებატებში უმნიშვნელო მარცხისა, რეალურად რჩება ხელისუფლებაში მოსვლის შანსები. მერკელის გამარჯვებამ კი, შესაძლოა, ძირფესვიანად შეცვალოს ძალთა გადანაწილება კონტინენტზე. ქრისტიან-დემოკრატთა ლიდერმა არაერთგზის დააფიქსირა, რომ მისი მთავრობა (არჩევის შემთხვევაში) გაცილებით ნაკლებად ანტიამერიკული იქნება, ვიდრე შრიოდერის. ხოლო რუსეთს რაც შეეხება, მერკელის თქმით, ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს ლიდერს რუსეთის დღევანდელ მმართველთან "შეკითხვები უნდა გასჩენოდა".

შეგახსენებთ, ამჟამინდელ კანცლერს (ისევე როგორც საფრანგეთის პრეზიდენტს) განსაკუთრებით "თბილი" ურთიერთობები აკავშირებს პუტინთან, რაც ერთიორად ზრდის რუსეთის შესუსტებულ როლს ევროპაში მიმდინარე პროცესებში. სწორედ ამ "ურთიერთობების" შენარჩუნებას ცდილობს ევროკავშირის უმდიდრეს ქვეყანასთან მოსკოვი. მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, პუტინი ცდილობს, უკრაინული შეცდომა აღარ გაიმეოროს და წინდაწინ იჭერს თადარიგს. გამგზავრებამდე ვლადიმირ პუტინმა ორაზროვანი განცხადება გააკეთა. მისი თქმით, იგი არ აპირებს, ჩაერიოს გერმანიის პოლიტიკურ პროცესებში, თუმცა, აბსურდულად ეჩვენება პოლიტიკური კონტაქტების შეწყვეტა მოახლოებული არჩევნების გამო.

ასე რომ, რუსული გაზი, ევროკავშირის მომავალი და "ფერადი რევოლუციები" სულ უფრო ხშირად განიხილება ერთმანეთთან კავშირში. თუმცა, როგორ დასრულდება 21-ე საუკუნის ყველაზე დიდი პოლიტიკური გარდაქმნები ევროპაში, ჯერ კიდევ გამოუცნობი რჩება.

# ქარიშხალი იაპონიაში

სტიქიური უბედურების ზონაში იაპონიაც ექცევა, რომლის სამხრეთ რაიონებსაც სამშაბათს ქარიშხალი "ნაბი" დაატყდა თავს. ხელისუფლებამ 100 ათასზე მეტ მოქალაქეს სასწრაფოდ ევაკუაციის აუცილებლობის შესახებ ამცნო.

გადაუღებელი წვიმებითა და ძლიერი ქარით გამოწვეულმა წყალდიდობამ საზოგადოებრივი ტრანსპორტის პარალიზება გამოიწვია.

წინასწარი ინფორმაციით, უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება 16 ადამიანი, ხოლო 23 მოქალაქე სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. მოსახლეობის ევაკუაციისთვის მობილიზებულია ქვეყნის შეიარაღებული ძალების ნაწილები.

მეტეოროლოგიური სამსახურის მონაცემებით, უკანასკნელი ორი დღე-ღამის განმავლობაში სამხრეთ იაპონიაში მოსული ნალექის რაოდენობამ ერთ მეტრს გადააჭარბა, ხოლო ქარის გადაადგილების სიჩქარემ 144 კმ/სთ-ს მიაღწია.

მართალია, იაპონიის სამხრეთ რაიონებში გამოჩენილი ქარიშხალი სიმძლავრით ბევრად ჩამოუვარდება "კატრინას", რომელმაც ნიუ-ორლეანს უზარმაზარი ზარალი მიაყენა, მაგრამ იგი ამომავალი მზის ქვეყანაში სინოპტიკოსების ვარაუდით, საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე გავრცელდება.

ათასობით საცხოვრებელი სახლი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი; სტიქიამ სერიოზული შეფერხებები გამოიწვია საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო სატრანსპორტო სისტემებშიც. ქარიშხლის გამო გადაიდო ავიარეისები, რის გამოც დაახლოებით 20 000 მგზავრი აეროპორტებში განაგრძობს გამოდარების ლოდინს.

იაპონიაში "ნაბის" გამოჩენა, ტაივანსა და ჩინეთში "თალიმის" შეტევას მოჰყვა. ორშაბათს გავრცელებული ინფორმაციით, ჩინეთში ქარიშხლის მსხვერპლთა რიცხვი 84 ადამიანს შეადგენდა. სინოპტიკოსთა ცნობებით, რამდენიმე დღეში "ნაბი" ჩინეთში გადაინაცვლებს და ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონს შეუტევს. არ გამორიცხავენ იმასაც, რომ სტიქია სამხრეთ კორეის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილებსაც მოედოს.

## საქართველოს მოქალაქეთა საყურადღებოდ!

**გაცნობებთ, რომ საპატრულო პოლიციის მიერ ავტოტრანსპორტის დარგში ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე დადგენილი ჯარიმების გადახდა შესაძლებელია ბანკ "რესპუბლიკის" ყველა ფილიალში.**

**ბანკ "რესპუბლიკის" ფილიალების მისამართებია:**

**დელისის ფილიალი**
თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 47ა
ტელ: (99532) 312161, 312181
ფაქსი: (99532) 312161
ელფოსტა: info@delisi.republic.com.ge

**სადგურის ფილიალი**
თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია
ტელ: (99532) 911117, 911118, 237043
ფაქსი: (99532) 911117, 911118
ელფოსტა: info@sadguri.republic.com.ge

**გლდანის ფილიალი**
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.20
ტელ: (99532) 590770, 590880
ფაქსი: (99532) 590660
ელფოსტა: info@gldani.republic.com.ge

**სამტრედიის ფილიალი**
სამტრედია, რაზმაძის ქ. 2
ტელ: (8 211) 21353, 21157, 21938, 569855, 560740
ფაქსი: (8 211) 560740
ელ-ფოსტა: info@samt.republic.com.ge

**ზუგდიდის ფილიალი**
ზუგდიდი, ზვ.გამსახურდიას გამზ. 34
ტელ: (8 215) 5 00 08, 5 08 08
ფაქსი: (8215)5 08 08, 5 00 08

**ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N1**
თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 13
ტელ: (995 32) 294598, 294599
ფაქსი: (995 32) 779625
ელფოსტა: scenter1@republic.com.ge

**ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N2**
თბილისი, საერთაშორისო აეროპორტი
ტელ: (995 32) 433181
ფაქსი: (995 32) 779625
ელფოსტა: ap1@republic.com.ge

**ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N3**
თბილისი, ფალიაშვილის ქ. 33ა
ტელ: (995 32) 912237, 912238, 912239, 912240
ფაქსი: (995 32) 912241
ელფოსტა: info@republic.com.ge

**გლდანის ფილიალის სერვისცენტრი N1**
თბილისი, ლუბლიანას ქ. 18/20
ტელ: (995 32) 261629, 517047
ფაქსი: (995 32) 227566
ელფოსტა: infosc-1@gldani.republic.com.ge

**გლდანის ფილიალის სერვისცენტრი N 2**
თბილისი,დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ
ტელ: (995 32) 531951, 531952
ფაქსი: (995 32) 227566
ელფოსტა: infosc-1@gldani.republic.com.ge

**თელავის სერვისცენტრი**
თელავი, ერეკლეს ქ. 13
ტელ: (995 250) 75608, 75607
ელფოსტა: info-telavi@gldani.republic.com.ge

**გორის სერვისცენტრი**
გორი, მოსკოვის ქ. 1
ტელ: (995 270) 70780
ელფოსტა: info-gori@gldani.republic.com.ge

**ზუგდიდის სერვისცენტრი**
ზუგდიდი, პარიზის კომუნის ქ. 1
ტელ: (995 215) 51982

ფაქსი: (8215)5 08 08, 5 00 08
**რუსთავის სერვისცენტრი**
მშენებელთა ქ. 21
ელფოსტა: info-rustavi@gldani.republic.com.ge


# თანამედროვე ადმინისტრაცია

**პირველი გვერდიდან**

ასეთი დასკვნების საფუძველს იძლევა ევროპის განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა, სადაც მმართველობის თანამედროვე კონცეფცია დღეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა, როგორც თეორიულ დისკუსიებში, ისე პოლიტიკური პარტიების საპროგრამო დებულებებში. რეალობამ ცხადყო, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებმა დროთა განმავლობაში უფრო მეტი და მეტი ფუნქციების განხორციელება აიღეს საკუთარ თავზე. სახელმწიფო თითქმის ყველა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებისთვის გახდა პასუხისმგებელი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოს, როგორც სამართლებრივი და ადმინისტრაციული, ისე განსაკუთრებით ფინანსური რესურსები შეზღუდულია. ამიტომ ზედმეტი ამოცანების განხორციელებით იგი საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებს აწყდებოდა.

დღის წესრიგში დადგა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ამოცანების ახლებური განაწილების აუცილებლობა. აქ ლაპარაკია არა ამოცანათა მექანიკურ განაწილებაზე, ანუ არა იმაზე, რომ სახელმწიფომ უბრალოდ უარი თქვას საზოგადოების წინაშე გარკვეული პასუხისმგებლობის შესრულებაზე, არამედ, ლაპარაკია რაციონალურ განაწილებაზე; ანუ იმაზე, რომ მოხდეს შესაძლებლობების ადეკვატურად პასუხისმგებლობის გადანაწილება. ის, რაც საზოგადოებას ისევე კარგად ან უკეთესად შეუძლია შეასრულოს, როგორც სახელმწიფოს, მაშინ ეს თავად საზოგადოებამ უნდა შეასრულოს. სახელმწიფო ერთგვარ სათადარიგო პოზიციაზე უნდა იმყოფებოდეს მანამ, სანამ "თამაში" კარგად მიდის. თუ "თამაში" არ აეწყო, მაშინ მან უნდა იმოქმედოს.

ამდენად, სახელმწიფოს როლის ახლებური გააზრება კერძო და საზოგადოებრივი სექტორისთვის მეტ ხელშეწყობას ნიშნავს. აუცილებელი არ არის, ყველა საზოგადოებრივი სფერო სახელმწიფო რეგულირებას დაექვემდებაროს. სასურველია, ნაკლები რეგლამენტაცია და რაც შეიძლება მეტი თვითორგანიზაცია. ეს არ არის სახელმწიფოს დასუსტება, არამედ ეს არის მისი როლის ახლებური, უფრო პროგრესული გათვითცნობიერება.

ის, თუ რა ამოცანების შესრულების გადანაწილება მოხდება სახელმწიფოდან საზოგადოებაზე (მაგალითად, ეკონომიკურ სფეროზე), პოლიტიკის პრეროგატივაა. მნიშვნელოვანია ის, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილების პროცესში თითოეული ამოცანის ინდივიდუალურობა და თავისებურება იყოს გათვალისწინებული. ზოგიერთი საჯარო ამოცანის სრული დელეგირება კერძო სექტორზე არ იქნება მიზანშეწონილი. ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან ამ დელეგირების ფარგლებისა და მოცულობის განსაზღვრა აუცილებელია. ეს შეიძლება ყველაზე კარგად ქვეყნის შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მაგალითზე იყოს ნაჩვენები. მართალია, სახელმწიფო არის ძირითადად ქვეყნის შიდა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი, მაგრამ ამასთან ერთად, კერძო დაცვის სამსახურებსაც აქვთ შესაძლებლობა, მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში კონკრეტული პირების ან ობიექტების უსაფრთხოებაზე იზრუნონ. თუმცა, იმ სახელმწიფო სტრუქტურებისგან განსხვავებით, რომელთაც ასევე საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა აქვთ დაკისრებული (პოლიცია), კერძო დაცვის სამსახურებს არ გააჩნიათ პოლიციური ფუნქციები. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ კერძო დაცვის სამსახურების საქმიანობა შესაძლოა სხვა ადამიანის უფლებების შელახვასთან იყოს დაკავშირებული, აუცილებელია აღნიშნული სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაცია და საქმიანობა სახელმწიფოს მხრიდან რეგლამენტაციას და კონტროლს დაექვემდებაროს. ამდენად, ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანის შესრულება სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ფარგლებისა და მოცულობის განსაზღვრით არის კერძო სექტორზე დელეგირებული.

სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ამოცანების ახალი განაწილება და შესაბამისად სახელმწიფო ადმინისტრაციის ფუნქციების თანამედროვე გაგება განსაკუთრებით მწვავედ საქართველოში დგას.

საბჭოთა კავშირის პირობებში სახელმწიფოს როლი ძირითადად ყველა საზოგადოებრივ სფეროს რეგულირებით განისაზღვრებოდა. სახელმწიფო ადმინისტრაცია გაბერილი საშტატო ნუსხით ერთგვარ მონსტრს წარმოადგენდა, რომლის არსებობაზე დიდი ფინანსები იხარჯებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლიდან ვარდების რევოლუციამდე ადმინისტრაცია ძველი საბჭოთა ინერციით აგრძელებდა მუშაობას. კერძოდ, ძველი საბჭოთა საშტატო რაოდენობით, მაგრამ უკვე გაცილებით დაბალი ხელფასებით. ჩინოვნიკების არსებობის ერთადერთი წყარო გახდა კორუფცია. სახელმწიფოში კორუფციული წესრიგის დახვეწილი ფორმები დამკვიდრდა. ეკონომიკაშიც, სადაც საბაზრო ეკონომიკის ფორმები იქნა შემოღებული, სინამდვილეში ამ ფორმების მიღმა იდგა კორუფციული გარიგებების სისტემა, რომელსაც პატრონაჟს სახელმწიფო ადმინისტრაცია უწევდა. ამ რეალობის გათვალისწინებით, საქართველოში ვარდების რევოლუციამდე ადმინისტრაციის რეფორმა ვერასდროს ვერ გახდებოდა აქტუალური თემა.

> **სახელმწიფოს როლის ახლებური გააზრება კერძო და საზოგადოებრივი სექტორისთვის მეტ ხელშეწყობას ნიშნავს. აუცილებელი არ არის, ყველა საზოგადოებრივი სფერო სახელმწიფო რეგულირებას დაექვემდებაროს.**

ყოველივე აქედან გამომდინარე, საქართველოში ადმინისტრაციული რეფორმის განხორციელების უმთავრესი წინაპირობა იყო კორუფციასთან ბრძოლა. ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლების პოლიტიკური ნება სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი მიღწევების ფონზე, მომავალში კორუფციასთან ბრძოლის შეუქცევადი დინამიკის პარალელურად, თანამედროვე ადმინისტრაციის ჩამოყალიბების მიზნით დღის წესრიგში დგას ისეთი სტრატეგიული ამოცანების განხცორციელების აუცილებლობა, როგორიცაა ადმინისტრაციის ეკონომიურობა და მისი ეფექტური მუშაობა, კადრების განვითარება, ადმინისტრაციის მუშაობაში სამოქალაქო სექტორზე ორიენტაცია და მასთან მჭიდრო თანამშრომლობა, ამასთან, ადმინისტრაციის მუშაობაში თანამედროვე მენეჯმენტის მეთოდების დამკვიდრება.

## ეკონომიურობა

თანამედროვე ადმინისტრაციის არსებობა პირველ რიგში გულისხმობს ადმინისტრაციის მუშაობის ისეთ სტილს, რომელიც მეტს ქმნის და ნაკლები ღირს.

ადმინისტრაციის არსებობა ბიუჯეტზეა დამოკიდებული, ბიუჯეტი კი ძირითადად გადასახადებზე. გადასახადის გადამხდელს აინტერესებს, რომ მის მიერ გადახდილი გადასახადი ეკონომიურად იყოს გამოყენებული. ადმინისტრაციის ეკონომიურობა იმით უნდა განისაზღვროს, შეუძლია თუ არა მას, რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით მიაღწიოს დასახულ მიზანს (საქმიანობის შედეგს). რესურსების ასეთი ოპტიმალური გამოყენების შესაძლებლობა ადმინისტრაციაში სხვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული.

უწინარეს ყოვლისა, ადმინისტრაციაში აუცილებელია ზედმეტი ბიუროკრატიისგან გათავისუფლება. ზედმეტი ბიუროკრატია ზღუდავს თავისუფლებას და ხელს უშლის თანამშრომლების განვითარებას. იგი დაბრკოლებას წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის. ზედმეტი ბიუროკრატიის შემცირებით შესაძლებელი გახდება ადმინისტრაციის მუშაობის ეკონომიურობის უზრუნველყოფა. სახელმწიფო უფრო მარტივი გახდება.

ადმინისტრაციის ეკონომიურობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს მუშაობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. შეიძლება ითქვას, რომ ადმინისტრაციის წარმატებული მოდერნიზაცია და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ორი ურთიერთგანპირობებული პროცესია. ახალი ტექნიკის საშუალებები მნიშვნელოვანწილად ზოგავს თანამშრომელთა რაოდენობას და ადმინისტრაციას ეკონომიურთან ერთად, უფრო სწრაფსა და მოქნილს ხდის. ძველი საქაღალდე სამუშაო იცვლება ახალი, უფრო სწრაფი ელექტრონული საშუალებით. შესაბამისად, მოქალაქეს არ მოუწევს სხვადასხვა ადგილას საბუთების მოძიება, არამედ მას მოემსახურება სწრაფად და ოპერატიულად ერთი პერსონალი. ამასთან, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა უზრუნველყოფს ადმინისტრაციისა და ეკონომიკური სფეროს სწრაფ და ხარისხიან თანამშრომლობას, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას.

ადმინისტრაციის მუშაობის ეკონომიურობის მიზნით, ზედმეტი ბიუროკრატიული აპარატის შემცირებასა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასთან ერთად, გადამწყვეტ როლს თამაშობს ადმინისტრაციის მუშაობაში საბაზრო ეკონომიკის მეთოდების დანერგვა. მკაცრი კონკურენციის პირობებში საბაზრო ეკონომიკაში საწარმოს წარმატების საწინდარია ახალი ინოვაციები, ახალი პროდუქცია. მნიშვნელოვანია სამუშაო პროცესის მუდმივი ოპტიმიზაცია, რათა კონკურენტს აჯობო, ამასთან წარმატებისთვის აუცილებელია მაღალი მოტივაციის მქონე თანამშრომლები, რომლებსაც თავისი კვალიფიკაციით და შრომისუნარიანობით დიდი წვლილი შეაქვთ საწარმოს წარმატებაში.

> **მათ, ვისაც რეფორმა ეხება, უნდა აღიარონ მოდერნიზაციის მნიშვნელობა და ახალი მოტივაციით შეხვდნენ ცვლილებებს, რომ თავად გახდნენ ცვლილებების გამტარებლები, ანუ მნიშვნელოვანია "რევოლუცია თავებში".**

ამის შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციაშიც უზრუნველყოფილი იყოს თანამშრომელთა ინიციატივისა და მონდომების მაქსიმალური გამოვლენის შესაძლებლობა, რომ მას სხვებთან ჯანსაღი კონკურენციის პირობებში თვითგანვითარებით შეეძლოს კარიერული წინსვლა. ამასთან, აუცილებელია სახელფასო უზრუნველყოფის სისტემის შეცვლა. კერძოდ, ხელფასი თითოეული თანამშრომლის შრომის უნარისა და კვალიფიკაციის, ზედმეტი დატვირთივისა და მიღებული შედეგის (პროდუქტის ხარისხის) ადეკვატური უნდა იყოს. ანუ ხელფასი გაწეული შრომის თანაზომიერი უნდა იყოს. ეს პრინციპი უფრო ეკონომიურს და, რაც მთავარია, უფრო პროდუქტიულს გახდის ადმინისტრაციის მუშაობას. ამიტომ, მიზანშეწონილია ადმინისტრაციაში დასაქმება და მუშაობის გაგრძელება დროის მოკლე პერიოდს (მაგალითად 6 თვე) დაექვემდებაროს, რათა პერიოდულად მოხდეს თანამშრომლის შრომისუნარიანობის შეფასება.

## ეფექტურობა

თანამედროვე ადმინისტრაციის მუშაობა, ეკონომიურთან ერთად, ეფექტური უნდა იყოს. ეფექტურობა ნიშნავს დასახული მიზნების განხორციელების ხარისხს, ანუ დაგეგმილი საქმიანობისა და დაგეგმილი შედეგების შესრულების მაღალ დონეს. იმისათვის, რომ ადმინისტრაციის მუშაობა ეფექტური იყოს, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია სტრატეგიული მიზნების, ამოცანების და გეგმების ნათელი განსაზღვრა, ხოლო შემდეგ მათ შესრულებაზე მონიტორინგი.

გარკვეულ მიზანზე მუდმივი ორიენტაცია კარგი ხელმძღვანელისა და მასთან ერთად კარგი სამსახურის წარმატების საფუძველია, თუმცა აღნიშნული მიზნის განხორციელების გეგმები გარკვეულ ეტაპებს უნდა მოიცავდეს, სადაც შესრულებული სამუშაოს შემოწმება და ანალიზი, ანუ მთლიანობაში იმის განსაზღვრა მოხდება, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს სამსახური.

სამსახურის ეკონომიური მუშაობა შეუძლებელია ეფექტური მუშაობის გარეშე, რადგან ეკონომიურობა შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც ადგილი აქვს მიზანმიმართულ პოლიტიკას. უმიზნო და არასწორი მენეჯმენტი ენერგიისა და ბიუჯეტის არაეკონომიურ ხარჯვას იწვევს. ამიტომ, ეფექტურობას სამსახურში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, სტრატეგია წინ უსწრებს ეკონომიურობას.

## კადრების განვითარება

თანამედროვე ადმინისტრაციის ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ ისეთი კადრების საშუალებით, რომლებიც მზად არიან, განახორციელონ პროგრესული ცვლილებები და მზად არიან, თავადაც შეიცვალონ. აღნიშნული მზადყოფნა და მოტივაცია ადმინისტრაციის მოდერნიზაციის ქვაკუთხედია.

უმთავრესი, რაც კადრების განვითარების თვალსაზრისით, ადმინისტრაციის თანამედროვე მუშაობის სტილში უნდა აისახოს, არის ადმინისტრაციის თანამშრომელთა მენტალიტეტის ძირეული შეცვლა. თანამშრომლის მენტალიტეტი ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ მას საკუთარი საქმიანობა გაიგივებული ჰქონდეს მოქალაქისთვის გარკვეული მომსახურების, სერვისის გაწევასთან. მოქალაქემ ადმინისტრაციის თანამშრომელთან ურთიერთობაში არასოდეს უნდა იგრძნოს თავი, როგორც ობიექტმა. თანამედროვე ადმინისტრაციის მუშაობამ ორიენტირი უნდა აიღოს მოქალაქეთა სერვისზე, რომელიც სწრაფად, მოქნილად და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე უზრუნველყოფს მოქალაქეთა კანონიერ ინტერესებს.

აღნიშნული მენტალიტეტის ჩამოყალიბების საუკეთესო საშუალება, ხელმძღვანელის მიზანმიმართულ პოლიტიკასთან ერთად, ადმინისტრაციის ფარგლებში საგანმანთლებლო პროგრამების განხორციელებაა. აუცილებელია, პერიოდულად სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზება, სადაც ადმინისტრაციის თანამედროვე მუშაობის ორიენტირებზე იქნება საუბარი. მნიშვნელოვანია საერთაშორისო ხასიათის კონფერენციების ჩატარებაც, რადგან ადმინისტრაციის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება თანამედროვე სამყაროში მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სხვა განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლაზე და საკუთარი გამოცდილების გაზიარებაზე. განვითარება ამ სფეროშიც ცოდნისა და გამოცდილების მუდმივი დახვეწით და შესაბამისად ახალი ინიციატივებით მიიღწევა.

თანამედროვე ადმინისტრაციის მოთხოვნების შესაბამისად, კადრების განვითარება დღის წესრიგში აყენებს თანამშრომელთა შრომის შედეგების შეფასების სისტემის დანერგვის აუცილებლობას. აღნიშნულმა შეფასების სისტემამ უნდა გამოავლინოს თანამშრომელთა შრომისუნარიანობა, მათი კვალიფიკაცია, მოტივაცია და ახალი მეთოდებით მუშაობის უნარი. ეს ჯანსაღ კონკურენციასაც შეუწყობს ხელს, რაც საბოლოო ჯამში მუშაობის ხარისხზეც აისახება.

## სამოქალაქო სექტორი

ადმინისტრაციის თანამედროვე მუშაობა საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით განისაზღვრება. ადმინისტრაცია საზოგადოებრივი განვითარების დინამიკას უნდა ასახავდეს, მის მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს. ამაში ჰპოვებს ის საუკეთესო ლეგიტიმაციას. დემოკრატიულ სახელმწიფოში ზოგადად სახელმწიფო ხელისუფლებისა და კერძოდ ადმინისტრაციის უფლებამოსილება, პირველ რიგში, მოსახლეობის მორალურ აღიარებას ემყარება. ამიტომ მისი წარმატება მოსახლეობასთან ურთიერთობისა და მისი პრობლემების გადაწყვეტის უნარზეა დამოკიდებული. მნიშვნელოვანია, ყველა დონეზე, საზოგადოებისა და ადმინისტრაციის ურთიერთობას ორგანიზებული ფორმა მიეცეს. ლაპარაკია საზოგადოებრივი საბჭოების ორგანიზებაზე, რომელიც ერთი მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების, სოციალური პრობლემების სფეროს წარმოაჩენს, ხოლო მეორე მხრივ, ერთგვარ მრჩეველთა საბჭოს ფუნქციას იტვირთებს იმ პრობლემათა გადაწყვეტის თვალსაზრისით, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის ძალისხმევას საჭიროებს.

თანამედროვე ადმინისტრაციის საიმედო პარტნიორებს აქტიური მოქალაქეები წარმოადგენენ, ამიტომ ადმინისტრაციამ ძალა არ უნდა დაიშუროს მათი პოტენციალის ორგანიზებაზე და მათთან კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე. ეს მთლიანად სახელმწიფოში სოციალურ ინტეგრაციას შეუწყობს ხელს.

## ხელმძღვანელობა და გუნდური მუშაობა

თანამედროვე ადმინისტრაციის ჩამოყალიბება ხელმძღვანელის მმართველობის უნარზეა დამოკიდებული. ის უნდა იყოს პირველ რიგში მაგალითის მიმცემი, გადაწყვეტილების მიმღები, მოტივაციის მიმცემი, ინიციატორი და ადმინისტრაციის ერთგვარი მამოძრავებელი ძალა. ადმინისტრაციის თანამედროვე მუშაობისთვის მას აუცილებლად უნდა გააჩნდეს გუნდური მუშაობის უნარი.

გუნდური მუშაობა ნიშნავს გუნდის წევრთა პოტენციალის მობილიზაციას და გუნდში შრომის რაციონალური განაწილებით პრობლემების მოგვარებას და დასახული გეგმების განხორციელებას. ხელმძღვანელობა გუნდში ნიშნავს გუნდის წევრებთან ინტენსიურ საუბარს, მათი აზრისა და წინადადებების მოსმენას, რათა მცდარი გადაწყვეტილებები მინიმუმამდე იყოს დაყვანილი და მიღებული იქნეს მაქსიმალურად კარგი გადაწყვეტილებები. გუნდის ხელმძღვანელი გუნდის წევრების მოტივაციას და შრომისუნარიანობის გაზრდას აღწევს საკუთარი მაგალითით, საკუთარი შრომით. ამასთან, მან უნდა მისცეს შესაძლებლობა თანამშრომლებს, თავიანთი სფეროს ფარგლებში გამოიჩინონ ინიციატივა, წარდგნენ სამსახურების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი წინადადებებით. მართალია, ბოლო სიტყვა ხელმძღვანელზეა, იგი იღებს გადაწყვეტილებას, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებამდე მან სხვადასხვა აზრი და არგუმენტებიც უნდა მოისმინოს. ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს გუნდის შესაძლებლობები, ხოლო გუნდმა უნდა იცოდეს ხელმძღვანელის სტრატეგიული მიზანი და უნდა ხედავდეს ხელმძღვანელში ამ მიზნის განხორციელების უნარს.

## დასკვნა

დღეს საქართველოში რეფორმების განხორციელების მნიშვნელოვანი ეტაპია. იგი განსაკუთრებულ ძალისხმევას და ენერგიას ითხოვს. აუცილებელია, რომ ძირეული ცვლილებები ბოლომდე იქნეს მიყვანილი და ამასთან ერთად ერთგვარი სტაბილიზაციის პროცესიც დაიწყოს.

ძირეული ცვლილებები, რაც არ უნდა პოზიტიური იყოს, ყოველთვის გარკვეულ სკეპტიკასთან არის დაკავშირებული. მოსახლეობა ერთგვარი მოლოდინის პროცესშია. რეფორმა დროს ითხოვს, მაგრამ მისი განხორციელების პერიოდში პოლიტიკის მიზანმიმართულობა თითოეულის მოტივაციას უნდა ამყარებდეს. პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს სტრატეგიული მიზნები, მათ შორის თანამედროვე ადმინისტრაციის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. იგი უნდა იყოს ერთგვარი მამოძრავებელი ძალა, გზის გამკვლევი, რომელიც არჩეული კურსის მნიშვნელობას პერიოდულად წარმოაჩენს და ამასთან, გააკონტროლებს, თუ რამდენად დაცულია ეს კურსი.

უშუალოდ იმისთვის სრული ინიციატივის გადაცემა, ვინც ცვლილებების ობიექტია, ვთქვათ, ამ შემთხვევაში, ადმინისტრაცია, გაუმართლებელია. მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკამ ყოველთვის შეინარჩუნოს, როგორც რეფორმების განმსაზღვრელის, ისე მისი განხორციელების მაკონტროლებლის როლი. ხოლო მათ, ვისაც რეფორმა ეხება, უნდა აღიარონ მოდერნიზაციის მნიშვნელობა და ახალი მოტივაციით შეხვდნენ ცვლილებებს, რომ თავად გახდნენ ცვლილებების გამტარებლები, ანუ მნიშვნელოვანია "რევოლუცია თავებში".


## USAID-ის კავკასიის მისია საქართველოში აცხადებს ვაკანსიას შემდეგ თანამდებობაზე:
### პროექტის მართვის სპეციალისტი (განათლების სექტორი) ვაკანსია N 114-05-08

ძირითადი ფუნქციები: ვაკანსიას აცხადებს USAID-ს კავკასიის მისიის საქართველოს ოფისის ჯანმრთელობისა და სოციალური განვითარების განყოფილება. ამ თანამდებობაზე დანიშნული პირის უპირველესი მოვალეობაა ზედამხედველობა გაუწიოს ზოგადი განათლების დეცენტრალიზაციისა და აკრედიტაციის პროგრამას, აგრეთვე პროექტის კომპონენტების განხორციელებასა და მართვას განათლების სექტორში საქართველოს მასშტაბით. შერჩეული კანდიდატის მოვალეობა იქნება დაგეგმოს და შეიმუშაოს ახალი ინიციატივები განათლების სექტორისთვის, თავად მოამზადოს და აგრეთვე უხელმძღვანელოს სხვადასხვა სახის პროექტებისა და პროგრამული დოკუმენტების მომზადებას. ის პასუხისმგებელი იქნება განათლების სფეროში პოლიტიკის საკითხების შემუშავებაზე, მართვასა და მონიტორინგზე, და განათლებისა და მეცნიების აკადემიისთვის ტექნიკური დახმარების გაწევაზე.

თანამდებობის რანგი: ამ თანამდებობის ზღვრული რანგი არის FSN-10 საწყისი ხელფასის მოცულობა განისაზღვრება წინა ხელფასის, კვალიფიკაციის დონისა და სამუშაო გამოცდილების მიხედვით. შესაძლოა შერჩეული კანდიდატი აყვანილ იქნეს FSN-11-ზე დაბალ რანგზე, საჭირო გამოცდილების და კვალიფიკაციის სრულ დაუფლებამდე.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
კანდიდატს მოეთხოვება საუნივერსიტეტო დიპლომი განათლების, ადმინისტრირების ან სხვა მომიჯნავე სფეროში; განათლების, საჯარო ადმინისტრირების, პროგრამის მართვის ან სხვა მომიჯნავე სფეროს მზარდი წამყვანი სპეციალისტის ხუთიდან შვიდ წლამდე გამოცდილება; მსგავსი ხასიათის პროგრამების დიზაინის, განხორციელებისა და მართვის სულ მცირე სამწლიანი გამოცდილება. კანდიდატს უნდა ჰქონდეს მონაცემების, შედეგების ინდიკატორებისა და ფინანსური მართვის ინფორმაციის ანალიზისა და ინტერპრეტაციის გამოცდილება, აგრეთვე მიღებული შედეგებისა და გამოტანილი დასკვნების წერილობითი და ზეპირი პრეზენტაციის უნარი. აგრეთვე, ქართული და ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილად ფლობა.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა მოაკითხონ USAID-ს კავკასიის მისიის საქართველოს ოფისს, მისამართზე - თელავის ქ. N20, სასტუმრო შერატონ მეტეხი, მე-5 სართული. სადაც მიიღებენ განაცხადის პაკეტს, რომელიც მოიცავს ამ თანამდებობის დეტალურ აღწერილობას, სამუშაოდ აყვანის განაცხადის ფორმას, და დეტალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

შევსებული განაცხადის ფორმა, თანდართული CV , დალუქული კონვერტით უნდა ჩაბარებული უნდა იქნეს არაუგვიანეს 2005 წლის 9 სექტემბრის საღამოს 6 საათამდე. **დაგვიანებით შემოტანილი განაცხადის ფორმები არ მიიღება.**

**ჩვენ დავუკავშირდებით მხოლოდ გადარჩეულ კანდიდატებს. წინასწარი სატელეფონო ზარები ან პირადი შეხვედრები დაუშვებელია.**



## აშშ საელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს

2005 წლის 10 სექტემბერს აშშ საელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს. აუქციონზე წარმოდგენილი იქნება **ნახმარი და დაზიანებული საყოფაცხოვრებო მოწყობილობები, ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა.**

აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ნივთი იყიდება "არსებულ მდგომარეობაში" გარანტიის გარეშე. საჭიროების შემთხვევაში მყიდველი პასუხისმგებელია აუქციონზე შეძენილი ნივთების განაბაჟებაზე და სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს.

მსურველთათვის ნივთების დათვალიერება მოხდება დილის 9:00-დან 11:00 სთ-მდე. აუქციონი დაიწყება დილის 11:00სთ-ზე.

აუქციონი ჩატარდება შემდეგ მისამართზე:

**ლილო, რუსთაველის ქ. 4, აშშ საელჩოს საწყობის ტერიტორია.** ცნობებისათვის დარეკეთ: 43-30-71.

# აფხაზი ხალხის თვალი და გული

ზაზა ფაჩუაშვილი

*2005 წელს ზუგდიდი დევნილთა ჯანმრთელობის ქალაქადაა გამოცხადებული. ამასთან დაკავშირებით ზუგდიდში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დევნილთა ფართომასშტაბიანი სამედიცინო გამოკვლევები ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობდნენ თითქმის ყველა სფეროს წამყვანი სპეციალისტები და კომპეტენტური არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის უცხოურებიც. ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ ზუგდიდში გამოკვლევებზე ჩამოვიდა გალის მოსახლეობა, რომელთა შორის მრავალი აფხაზიც იყო. გვესაუბრება აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ქალბატონი დალილა ხორავა.*


*გალის გამგეობასთან. დალილა ხორავა (ცენტრში) კოლეგებთან ერთად.*

ზუგდიდის აქციის ორგანიზატორები იყვნენ აფხაზეთის მთავრობა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომლებსაც ეხმარებოდნენ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, ფარმაცევტული კომპანიები (ავერსი და პე-ეს-პე), არასამთავრობო სექტორი, ყველა გარდა ბიზნესმენებისა. როგორც ქალბატონი დალილა ამბობს, ბიზნესფერო დევნილებისთვის ჩვეულებისამებრ დაკეტილია. აქციაში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობდნენ აშშ-ს მთავრობის წარმომადგენლებიც.

**დალილა ხორავა:** "ზუგდიდის აქციაში თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი 80-მდე სპეციალისტი მონაწილეობდა. ორი სამუშაო პუნქტი იყო, ზუგდიდი და დარჩელი. ჩვენ ვვარაუდობდით 3500-მდე დევნილის გამოკვლევას, რომლებსაც საჭირო წამლებსაც დავურიგებდით, მაგრამ გასასინჯად გაცილებით ბევრი ხალხი მოვიდა. დევნილების გარდა ადგილობრივი მოსახლეობაც გავსინჯეთ. მეორე დღეს კი ძალიან საინტერესო და სასიხარულო ფაქტი მოხდა. გალიდან დაიწყო მოსახლეობის ორგანიზებული გადმოსვლა. 25-მა ავტობუსმა გალიდან რამდენიმე რეისი განახორციელა. ეს ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი იყო".

**- გალიდან ჩამოსულებს შორის აფხაზებიც იყვნენ?**

- ცხადია, აფხაზებიც იყვნენ. ორი აფხაზი გამგებელიც იყო. მათ გაუგიათ გასინჯვების შესახებ და ხალხი ორგანიზებულად წამოუყვანიათ. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა. აფხაზ გამგებლებს აქეთ ლეგიტიმური მთავრობის მიერ დანიშნული ქართველი გამგებლები დახვდნენ.

**- როგორ შეხვდნენ ისინი ერთმანეთს?**

- ორი დღის წინათ ვიყავი გალში არაოფიციალურად და ძალიან ბევრ ადამიანს შევხვდი. ყველა ელოდება, რომ 15 სექტემბრამდე რკინიგზის საკითხი გადაწყდება და ინტეგრაციის პროცესი დაიწყება. ამ მთავრობის დიდი იმედი აქვთ. საერთოდ მინდა გითხრათ, რომ აფხაზ ხალხს თვალი და გული აქეთ აქვთ.

ერთ საინტერესო შემთხვევას მოგიყვებით. ახლახანს წყნეთში დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში მცხოვრებმა ქართველმა ბიჭმა ცოლად მოიყვანა აფხაზი გოგო. ეს გოგო, თურმე, სავაჭროდ დადიოდა ლილოს ბაზრობაზე. იქ გაუცვნიათ ერთმანეთი. ასე, რომ ქართველი და აფხაზი ხალხის ნათესაობას ვერაფერი მოშლის.

**- გალში როგორი მდგომარეობაა?**

- ძალიან მძიმე მდგომარეობაა. ექიმების ნაკლებობაა, წამლები არა აქვთ. ადამიანებს 12 წლის განმავლობაში თერმომეტრი არ უნახავთ და რომ დავურიგეთ, ტირილი დაიწყეს.

გალიდან ჩამოვიტანე ჩემი კოლეგების წერილი ხელისუფლებისადმი, სადაც ისინი ითხოვენ დაფინანსებას. მათ შორის აფხაზი ექიმებიც არიან.

**- აფხაზ ექიმებს ამის გამო პრობლემები არ შეექმნებათ?**

- სწორედ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ ჯერ კიდევ 7-8 თვის წინათ ქართულ მხარესთან კონტაქტს ვერც ერთი აფხაზი ვერ გაბედავდა. დღეს კი სხვა მდგომარეობაა. ერთ აფხაზ ექიმს, მაგალითად, კონკრეტული პროექტი აქვს და ამასთან დაკავშირებით მას ორშაბათს ველოდები ჩემთან. რა თქმა უნდა, ყოველივე ამის შესახებ აფხაზურმა მხარემაც იცის, მაგრამ, როგორც ვხედავთ, უარყოფითი რეაქცია აღარ არის.

**- სულ რამდენი ადამიანი გასინჯეთ?**

- სულ გავსინჯეთ 4000-მდე ადამიანი. 15 მათგანს სტაციონარული მკურნალობა დასჭირდა, რაზეც თანხა გამოყო აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ ირაკლი ალასანიამ.

გამოკვლეულთა შორის იყვნენ უხუცესი ადამიანები. აღმოჩნდა რომ სამეგრელოში 300 ადამიანზე მეტი არის 90 წელს გადაცილებული, ხოლო 15 ადამიანი 100 წელსაა გადაცილებული.

მოსახლეობა ძალიან კმაყოფილი დარჩა. მათ იგრძნეს, რომ მიტოვებულები არ არიან და ქვეყანა მათზე ზრუნავს.

# ამრა აგილარა

(ნამდვილი ამბავი)

**ზუგდიდი**
**12 ივნისი 1998 წელი**

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის მთავარი სამმართველოს ეზოში სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლები "უაზის" მარკის ა/მანქანებში სხდებოდნენ, როცა თემურ გაბისკირია დავინახე. ხელის აწევით მომესალმა და დამიძახა: "დათო ნახე ბალათურია ... შენთვის საინტერესო იქნება".

დათო ბალათურია შენობის მეორე სართულზე იმყოფებოდა, კრიმინალური პოლიციის უფროსის კაბინეტის გვერდით ოთახში და რუსულად ესაუბრებოდა ახალგაზრდა კაცს, რომელიც გუდაუთელი ვალერი ცვიჟბა აღმოჩნდა. ეს უკანასკნელი ორი კვირის წინ გალი-ზუგდიდის ადმინისტრაციულ საზღვარზე, სოფელ შამგონასთან დაუკავებიათ და ქართველ მეთევზეებში უპირებდნენ გაცვლას. აფხაზი, სოხუმის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, გულრიფშის მილიციის სპეცდანიშნულების რაზმში მსახურობდა და აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების დროს, 16 წლის ასაკში გუმისთის ფრონტზე იბრძოდა. საუბარი ძირითადად ქართულ-აფხაზურ პრობლემებს ეხებოდა, რა დროსაც შევიტყვე ერთი წლის წინ გულრიფშში მომხდარი ამბავი:

**გულრიფშის რაიონი**
**სოფელი ფშავი**
**ივნისი 1997 წელი**

სოხუმის გარეუბნიდან შესრულებული დავალების შემდეგ, გულრიფშის რაიონში მძიმე დანაკარგებით, ქართველი პარტიზანების მცირერიცხოვანი რაზმი გადმოვიდა. ხუთი მებრძოლიღა იყო დარჩენილი, მათ შორის ორი დაჭრილი. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ აღარც საკვების მარაგი გააჩნდათ და აღარც მედიკამენტები დაჭრილებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

სოფელ ფშავთან მოხუცი შენიშნეს, რომელიც ტყისპირიდან თხებს მოერეკებოდა. ერთ-ერთი პარტიზანი ომარ შამათავა მოხუცისკენ გაემართა და ჯერ რუსულად, ხოლო შემდეგ მეგრულად გაესაუბრა. უცნობი ადგილობრივი მწყემსი სარიდან გოლუა აღმოჩნდა. ომარმა თავიანთი მდგომარეობა აუხსნა, საჭმლისა და მედიკამენტების შოვნის სანაცვლოდ, გარკვეული თანხა შეაძლია. თუმცა, სარიდანი უანგაროდ დაპირდა დახმარებას და შემოთავაზებულ თანხაზე უარი უთხრა. შეთანხმდნენ, რომ საკვებსა და მედიკამენტებს მოხუცი საღამოს, ძველი ეკლესიის ახლოს მიუტანდა.

ქართველები მოუთმენლად ელოდნენ სარიდან ლოგუას მოსვლას, რომელიც მხოლოდ გვიან ღამით გამოჩნდა. დაგვიანების საბაბად საკვებისა და წამლების ჩამოსატანად დრანდაში წასვლა მოიმიზეზა. მებრძოლები არ დაეჭვებულან მის ნათქვამში, ამის დასტურად "ფლიაგებიდან" არაყი დაუსხეს მოხუცს და დალოცეს კეთილი საქმისთვის.

გამთენიისას ნატაძრალის ტერიტორიას ალყა ჰქონდა შემორტყმული სოხუმიდან საგანგებოდ ჩამოსული აფხაზური სპეცრაზმისა და რუსების მიერ.

სარიდან ლოგუას მამა ქართველი ჰყავდა, დედა - აფხაზი. 12 წლის იყო, როცა დაობლდა და ბაბუამ ჯუმა ახუბამ გუდაუთის რაიონის სოფელ ამრაში წაიყვანა. აფხაზური წეს-ჩვეულებებით გაიზარდა და თავს აფხაზად თვლიდა. ცოლადაც აფხაზი მარინა ბარციცი მოიყვანა და სამ შვილსაც აფხაზური ტრადიციებით ზრდიდა. უფროსი შვილი - ჯუმა 1992 წლის 20 აგვისტოს ქართველ გვარდიელებთან შეტაკებისას დაიღუპა. სარიდანიც ომის პირველივე დღეებიდან იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ. იგი მხარეში ერთ-ერთ საუკეთესო მონადირედ ითვლებოდა და საკმაოდ კარგად იცნობდა სოხუმისა და გულრიფშის რაიონის ტყეებს, რის გამოც აფხაზების დივერსიულ ჯგუფებს მეგზურობდა. ომის დამთავრების შემდეგ საცხოვრებლად ოჯახთან ერთად გულრიფშის რაიონის სოფელ ფშავში გადავიდა. სიძის დახმარებით, სატყეო მეურნეობის დირექტორის მოადგილედ დანიშნეს. თუმცა, სამუშაო დროის უმეტეს ნაწილს სოფელში ატარებდა. იმ დღესაც თხებს მიერეკებოდა სახლისკენ, როცა შეიარაღებულ ქართველ პარტიზანებს გადაეყარა და რადგან მეგრული ბავშვობიდან კარგად იცოდა, მათთან საუბარი არ გასჭირვებია. ქართველებს დახმარება აღუთქვა, დრანდაში ჩასულმა კი მილიციის უფროსს დაურ ჯოპუას აცნობა პარტიზანების ადგილსამყოფელის შესახებ.

მძიმე ბრძოლებით დაღლილ ქართველ მებრძოლებს მალე ჩასთვლიმათ. გამთენიისას რუსმა და აფხაზმა სპეცრაზმელებმა მათ წინააღმდეგ იერიში მიიტანეს. ქართველებმა პირველი შეტევა წარმატებით მოიგერიეს, თუმცა ტყვია-წამლის მარაგი ამოეწურათ. მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა, ქართველებმა უარი განაცხადეს, აფხაზების წინადადებაზე, დანებებოდნენ სიცოცხლის შენარჩუნების სანაცვლოდ.

ეკლესიის ნანგრევებიდან ქართული სიმღერა გაისმა. აფხაზები გაკვირვებულები უსმენდნენ, რადგან მელოდია ადგილობრივი ქართველების მეგრულ და სვანურ სიმღერებს არ ჰგავდა.

რუსებმა იკითხეს, რა ამღერებთ ან რას მღერიანო. ჯოპუამ გაიცინა და სარიდანს რუსულად ჰკითხა:

- Что поют отец?

ნატაძრალიდან ისმოდა "გაფრინდი შავო მერცხალო".

სარიდანი ბავშვობის წლებში დაბრუნდა და თავჩაქინდრულმა თქვა:

- Ето любимая песня Сталина, как черная ласточка возврашается домой.

ოცი წუთის შემდეგ რუსებმა და აფხაზებმა ბოლო შეტევა განახორციელეს. სოხუმელმა ომარ შამათავამ და გალელმა ლაშა ლაკერბაიამ ხელყუმბარები ააფეთქეს და იმქვეყნად გაიყოლეს ჯოპუა და აფხაზური სპეცრაზმის ათი მებრძოლი.

სარიდან ლოგუა სამი დღის შემდეგ ოჩამჩირეში ილორის ეკლესიაში მღვდელთან მივიდა. საღამომდე ესაუბრა მას, არავინ იცის, რაზე. სახლში დაბრუნებულმა ოჯახის წევრებთან ერთად ივახშმა და ცოლს სთხოვა საწოლი აივანზე გაეშალა. გვიან ღამით კი თავის თავს თვითონვე გამოუტანა განაჩენი - დილით სახლის წინ მკვდარი ნახეს, თავი მოეკლა.

12 წლის ობოლმა ქართველმა ბიჭმა სარიდან ლოგუამ საკუთარი ჯიშის და მოდგმის ღალატი ვერ აპატია ხანშიშესულ აფხაზ მონადირეს.

P.S ვალერი ცვიჟბა ორიოდე დღის შემდეგ გაათავისუფლეს ენგურის ხიდზე, თემურ გაბისკირია გალმუხურში დაიღუპა ტურანბას ჯგუფთან შეტაკებისას, ხოლო დათო ბალათურია თბილისში გამომძიებლად მუშაობს.

*გიორგი გვასალია*

*** ამრა აგილარა (აფხ) - მზის ამოსვლა**

# აფხაზეთის გზა დამოუკიდებლობისაკენ

**რა მისწერა აფხაზური ალიანსის პრეზიდენტმა ინალ კაზანმა გაეროს გენერალურ მდივანს კოფი ანანს?**

*ეს წერილი აფხაზური ალიანსის პრეზიდენტმა დოქტორმა ინალ კაზანმა გაეროს გენერალურ მდივანს მისწერა. შესავალ ნაწილში იგი გაეროს სთხოვს დახმარებას იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს ქართველებსა და აფხაზებს შორის "მოლაპარაკებებს მოლაპარაკებებისათვის." მიღწეულ იქნეს ისეთი შეთანხმება, რომელიც ერთი მხრივ უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მეორე მხრივ - აფხაზეთს, როგორც საქართველოს კონფედერაციის წევრს, მიანიჭებს საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სტატუსს.*
*დოქტორი კაზანი დარწმუნებულია, რომ აფხაზი ხალხი კატეგორიული წინააღმდეგია ბოდენის დოქტრინის, საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიური სტატუსის შესახებ კონცეფციის და აღნიშნავს, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ და საქართველომ ეს რეალიები უნდა აღიაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში დოქტორი კაზანი ჩიხიდან გამოსავალს ვერ ხედავს.*
*ახლა კი საკუთრივ წერილს გთავაზობთ.*

დოქტორი ინალ კაზანი
აფხაზური ალიანსის პრეზიდენტი

აფხაზეთის პრეზიდენტის სერგეი ბაგაფშის მიერ 17 აგვისტოს გაკეთებული განცხადება აფხაზი ხალხის უმრავლესობის სამოქალაქო სტატუსის შესახებ პროვოკაციული და შემაშფოთებელია. ბატონმა ბაგაფშმა გარკვევით აღნიშნა, რომ აფხაზეთის მოსახლეობის 80% უკვე რუსეთის მოქალაქეა, დანარჩენი კი ამას 6-12 თვის შემდეგ მიიღებს. ზედაპირულად შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ რუსეთის მოქალაქეობას ამოფარებული აფხაზი ხალხი იზოლაციის პრობლემას მოაგვარებს და არსებული სანქციების ბარიერებს დაძლევს. აფხაზი ლიდერები მიიჩნევენ, რომ ეს არის საპასუხო რეაქცია ათწლიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ოზოლაციაზე. მაგრამ რა ელოდება აფხაზ ხალხს შემდეგ?

როგორც ჩანს, აფხაზეთის დღევანდელი ხელისუფლება მიუყვება რუსეთის ფედერაციაში ინტეგრაციის გზას, როგორც საკუთარი პოლიტიკური ამბიციების ლოგიკურ გადაწყვეტას. პრეზიდენტ ბაგაფშის პოზიციიდან გამომდინარე ადვილი გასაგებია, თუ რა ხიბლი აქვს რუსეთთან ინტეგრაციის პერსპექტივას. პრეზიდენტ პუტინის დინამიური ხელმძღვანელობით რუსეთი მიდის ეკონომიკური რეფორმების გზით და ამავე დროს ამკვიდრებს დემოკრატიულ პრინციპებს. მოკლედ რუსეთი აღმავლობის გზაზეა. უეჭველია, რომ რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლა ანალოგიურ პროცესებს აფხაზეთშიც გამოიწვევს; მაგრამ აფხაზი ხალხისთვის ეს საუკეთესო არჩევანი იქნება?

რუსეთში ინტეგრაცია აფხაზეთს საქართველოსგან დამოუკიდებელს გახდის, მაგრამ საერთაშორისო აღიარებას ვერ მოუტანს და საერთაშორისო სუბიექტის სტატუსს სამუდამოდ დააკარგვინებს. ამგვარად აფხაზეთი გახდება აუღიარებელი და მოსკოვზე დამოკიდებული სახელმწიფო. რუსეთის ფედერაციაში შესვლა აფხაზურ პრობლემებს ვერ მოაგვარებს, მის პოლიტიკურ იზოლაციასა და ეკონომიკურ სირთულეებს ოდნავ შევებასაც ვერ მოუტანს. ეს მეტისმეტად ბეცი პოლიტიკური ნაბიჯია. აფხაზეთის ხელმძღვანელობა შორსმჭვრეტელ პერსპექტივას არ ირჩევს და რუსეთის საშუალებით პრობლემების სწრაფ მოგვარებას ცდილობს. აფხაზი ხელმძღვანელების ჩანაფიქრი კეთილშობილურია, მაგრამ არასწორ გზას ადგას. მათი ფსიქოლოგია დაღდასმულია საბჭოთა ფსიქოლოგიით, რაც ხელს უშლის ნათელ და შემოქმედებით აზროვნებას. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ოცნება შეიძლება აგვისრულდეს, მაგრამ ჩვენ ბრძნული არჩევანი უნდა გავაკეთოთ.

აფხაზი ხალხი უნდა დაფიქრდეს, როგორ სტატუსს და უფლებებს მიიღებს რუსეთის ფედერაციაში. ფაქტია, რომ რუსეთი პლანეტის ყველაზე დიდი სახელმწიფოა. ისიც ფაქტია, რომ აფხაზეთი პატარა ძალა და ფორმირებაში მყოფი ერთ-ერთი ყველაზე პატარა სახელმწიფოა. რეალურად და ლოგიკურად აფხაზეთი რუსეთის ფედერაციაში ჩაიკარგება. ეს იქნება თავისუფლება? ეს იქნება დამოუკიდებლობა? თავისუფლება და დამოუკიდებლობა მხოლოდ სიტყვები არაა. ეს არის უდიდესი იდეა და პრინციპი. აფხაზეთის ხელმძღვანელობამ უნდა აღიაროს თავისი პოლიტიკური სიბეცე და იფიქროს მომგებიან შორსმჭვრეტელ პერსპექტივებზე.

გასაგები და, ალბათ, პოლიტიკურადაც მისაღები იქნებოდა, თუ ფიზიკური უსაფრთხოებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით აფხაზური ხელისუფლება მსუბუქი რუსიფიკაციის გზას მიმართავდა. ჩვენი ხალხი მართლაც ძალიან დაზარალდა და ეკონომიკურ სიდუხჭირეს ბოლო უნდა მოეღოს, მაგრამ ამისათვის რუსეთის ფედერაციაში შესვლა საუკეთესო გამოსავალი არ არის. საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება, რაც საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებს აიძულებდა, ეღიარებინათ ეს რეალობა!

აფხაზეთის აღიარებით რუსეთი პოლიტიკური და ეკონომიკური გამოცდის წინაშე დადგებოდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რუსეთს აფხაზეთის აღიარებაში ვერავინ შეეწინააღმდეგებოდა. მოცემულ სცენარში აფხაზეთის საერთაშორისო სტატუსი გარანტირებული იქნება. საერთაშორისო აღიარების გარეშე კი აფხაზეთი დაუბრუნდება საწყის მდგომარეობას და გახდება ავტონომიური რეგიონი სხვა ქვეყანაში, ოღონდ ეს სხვა ქვეყანა რუსეთი იქნება. მაგრამ რუსეთს აფხაზეთის დამოუკიდებლობა ნაკლებად ადარდებს და შავი ზღვის რეგიონში საკუთარი გავლენის გაფართოება სურს. რაც უფრო ადრე მიხვდება აფხაზეთის ხელისუფლება ამას, მით უფრო ადრე მიაღწევს ის ღირსეულ მშვიდობას საქართველოსთან.

სხვა მხრივ, რას მიიღებს აფხაზი ხალხი საქართველოსთან სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნით და რას არ მისცემს მას რუსეთთან ინტეგრაცია?

საქართველოსთან კონფედერაციული კავშირი აფხაზეთს მისცემს საერთაშორისო სუბიექტის სტატუსს და ადგილს მოლაპარაკების მაგიდასთან გაეროში. აფხაზეთი და საქართველო თანაბარი უფლებებით ისარგებლებენ. ბოლო 100 წლის განმავლობაში აფხაზეთს პირველად გაუჩნდება დამოუკიდებელი ვაჭრობის უფლება და მოგების საკუთარი შეხედულებით გამოყენების საშუალება. ბუნებრივი მონაცემები საშუალებას მისცემს აფხაზეთს, მალე აღიდგინოს მსოფლიო ტურიზმის ცენტრის სტატუსი. აფხაზ ხალხს, ბოლოს და ბოლოს მიეცემა საშუალება, იცხოვროს მშვიდ პროგრესირებად ქვეყანაში. აფხაზეთი მოესწრება აღორძინებას!

აუცილებელია, აფხაზმა ხალხმა შეიგნოს, რომ საქართველოსთან მოლაპარაკებების განახლება ქვეყნის გაყიდვას არ ნიშნავს. მშვიდობა შეიძლება მიღწეულ იქნეს აფხაზეთის პირობებით, ჩვენმა რუსმა მეგობრებმა კი ეს პროცესი რეალურად უნდა უზრუნველყონ.

რუსეთი პირველი სახელმწიფო იქნება, რომელიც ქართულ-აფხაზური კონფედერაციული სახელმწიფოსგან სარგებელს ნახავს. რუსეთი ძირითადი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორია და ამგვარად ის ზედმეტი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალისხმევის გარეშე შეინარჩუნებს დომინირებულ მდგომარეობას რეგიონში.

აფხაზეთის დამოუკიდებლობა რეალურია, თუკი მისი ხელმძღვანელობა რეალურ მიზნებს დაისახავს. რუსეთში ასიმილაცია, ზოგადი განცხადებები დე-ფაქტო დამოუკიდებლობის შესახებ, სტატუს ქვოს შენარჩუნება, მოლაპარაკებები მხოლოდ მოლაპარაკებებისთვის ჩემს სამშობლოს საქართველოსთან სასურველ მშვიდობას არ მოუტანს. თუ რუსეთის დახმარებით საერთაშორისო დონეზე აფხაზეთის დამოუკიდებლობა შეუძლებელია, მაშინ აფხაზების ინტერესებში იქნება ლოგიკური და საუკეთესო ალტერნატივა - სამოკავშირეო სახელმწიფო საქართველოსთან. ეს იქნება ჩვენი ხალხის გრანდიოზული გამარჯვება და ჩვენი კულტურული, პოლიტიკური და ეთნიკური ღირებულებების გადარჩენა.

გამოკითხვა

# დავუშვათ ასეთი სიტუაცია: მიხვედით ახლობელთან და დაგხვდათ აფხაზი სტუმარი აფხაზეთიდან. რა რეაქცია გექნებათ?

**მარინა ყიფშიძე**, ჟურნალისტი, 41 წლის: "ძალიან გამიხარდება. აუცილებლად გამოველაპარაკები. თუ თავად აგრესიული იქნება, შევეცდები, ეს აგრესია გავანეიტრალო. ვუჩვენებ ჩემს კეთილგანწყობას, რომ მტერი არა ვარ და მისთვის (ზოგადად აფხაზებისათვის) ცუდი არ მინდა. საერთოდ, ეს პოლიტიკა უნდა განხორციელდეს, ადამიანები უნდა ჩამოვიდნენ, ამის მოთხოვნილება და საჭიროება უნდა ჰქონდეთ და ამაში ჩვენმა მთავრობამაც უნდა შეუწყოს ხელი.

აფხაზ გოგონებს რომ აინტერესებდათ კონსერვატორიის ამბავი, მოვიწვევდი და ვაჩვენებდი. აფხაზ აბიტურიენტებს გამოვუყოფდი რამდენიმე ადგილს ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში და ა.შ. ეს ურთიერთობები თუ აღდგა და გაძლიერდა, ყველაზე სწორი ნაბიჯი იქნება კონფლიქტის მოსაგვარებლად."

**ელა კოკაია**, ინჟინერი, 28 წლის: "ისეთივე რეაქცია მექნება, როგორიც სხვა სტუმრის დანახვისას - ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი. თქვენ გგონიათ, არ ჩამოდიან? ძალიან ხშირად ჩამოდიან აფხაზები თბილისშიც და სხვა ქალაქებშიც ნათესავებთან თუ სხვა საქმეებზე. ზოგი ლილოში დადის ბაზრობაზე. მე, პირადად, მათ არ შევხვედრივარ, მაგრამ ვიცი, რომ დადიან."

**ზურაბ ჩიქოვანი**, ექიმი, 60 წლის: "ეს კითხვა ჩემთვის, საერთოდ, მიუღებელია. სტუმარი ღვთისაა. მე თავად ოჩამჩირელი ვარ. 40 წელზე მეტია, თბილისში ვცხოვრობ და კონფლიქტამდე და კონფლიქტის შემდეგაც არაერთი აფხაზი სტუმარი ყოფილა ჩემს სახლში, დაუთვალიერებია ჩემი უმდიდრესი ფოტოარქივი (რომელშიც აფხაზებიც არიან, მაგ. თავადი ასტამურ ინალ-იფა) და აღტაცებაში მოსულა. იმ სტუმარს ჩემთან დავპატიჟებ და თუ სურვილი ექნება და მესტუმრება, კარგადაც ვუმასპინძლებ".

**ნანუკა კახაძე**, რუსულის მასწავლებელი, 30 წლის: "დადებითი რეაქცია მექნება, გამიხარდება, რომ აფხაზი ჩვენდამი კეთილადაა განწყობილი. შეიძლება, ჩემთან სახლშიც დავპატიჟო."

**მარინა ქავთარაძე**, ქიმიკოსი, 45 წლის: "ჩვეულებრივი რეაქცია მექნება, ყოველგვარი განსაკუთრებული ემოციის გარეშე. ისე გააჩნია, ვინ იქნება. წყენით რატომ უნდა მეწყინოს? სტუმარი, სულაც რომ მტერი იყოს, მაინც სტუმარია. თუმცა, რაკი სტუმრად მოდის, ე. ი. კეთილგანწყობილია".

**ლადო სურგულაძე**, მათემატიკოსი, 53 წლის: "აუცილებლად დაველაპარაკები და გამოვკითხავ სოხუმისა და აფხაზეთის ამბებს. ჩვენ გაზეთებიდან ვიგებთ, რას აცხადებენ ბაგაფში, ხაჯიმბა თუ სეპარატისტების სხვა მაღალი თანამდებობის პირები; მაგრამ, პრაქტიკულად, არ ვიცით, რას ფიქრობენ უბრალო ადამიანები, რა დამოკიდებულება აქვთ რუსეთთან, ან რას ფიქრობენ საქართველოსთან ურთიერთობაზე, როგორ ცხოვრობენ, რა უჭირთ, რა ულხინთ. ის სტუმარი, გასაგები მიზეზების გამო, ალბათ, მთლად გახსნილი ვერ იქნება, მაგრამ რაღაცას მაინც ხომ იტყვის. საერთოდ, თუ ხშირად ჩამოვლენ აფხაზები თბილისში, ურთიერთობა ექნებათ ქართველებთან, უფრო უკეთესი იქნება, იმიტომ რომ აფხაზეთის მთავრობის იდეოლოგიური პროპაგანდის გავლენით, მათ, ალბათ, ჰგონიათ, რომ აგრესიულად ვართ მათდამი განწყობილი. ეს ურთიერთობები კი რეალურ სურათს აჩვენებს. მაგრამ როგორც ამბობენ, აფხაზეთის უშიშროება მკაცრად აკონტროლებს, ვინ გადმოდის აქეთ მხარეს და მერე მათ პრობლემებს უქმნის. ეს რომ არ იყოს, ალბათ, მეტი აფხაზი ჩამოვიდოდა, თუნდაც, სავაჭროდ ან სხვა პირადი მიზნებისათვის და ეს ასეც უნდა იყოს, ისინი ხომ ჩვენი მოქალაქეები არიან."

გადარჩენილი ფოტოები

## მენატრები


*სოხუმი, 1980-იანი წლები. ფეხზე დგას ნონა ჭანჭღავა, სხედან: ნათელა ბერიკაშვილი (მარცხნივ) და ტომა ხიშბა.*


**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს
საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

მოკლედ

## იეროს "რეალში" დაბრუნებას პრეზიდენტი ხელმძღვანელობს

მადრიდის "რეალის" ვიცე-პრეზიდენტ ემილიო ბუტრაგენიოს განუზრახავს, მიმდინარე კვირას შეხვდეს სამეფო კლუბის ყოფილ კაპიტანს ფერნანდო იეროს, რათა "რეალში" მისი დაბრუნების შესაძლებლობა განიხილოს. ესპანური საინფორმაციო წყაროების ცნობით, ბუტრაგენიო მადრიდული კლუბის პრეზიდენტის ფლორენტინო პერესის დავალებით იმოქმედებს, რომელსაც, თავის მხრივ, არაერთხელ გაუხმოვანებია საკუთარი სურვილი დააბრუნოს "რეალში" იერო, რომელმაც ბოლო ორი წელიწადი ინგლისურ "ბოლტონში" გაატარა.

## ავსტრალიას საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატი სურს

ავსტრალიასა და ოკეანიის რიგ ქვეყნებს გეგმაში აქვთ 2018 წლის საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატის სამასპინძლოდ ერთობლივი განაცხადი შეიტანონ ფიფაში.

"ასოშეიტედ პრესის" ცნობით, ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი ჯონ ო`ნილი ოკეანიის ერთობლივ განაცხადს მაროკოში ფიფას კონგრესზე წარადგენს.

"2006 წელს მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს ევროპა, 2010 წელს - აფრიკა, 2014 წელს სამხრეთ ამერიკა. უნდა ვიფიქროთ, რომ 2018 წლისთვის ჩვენი რიგი დადგება. ჩვენს სრულად მზად ვართ ასეთი ღონისძიების ორგანიზებისთვის. მატჩების უმეტესობის გამართვას ავსტრალიაში ვგეგმავთ. ზოგიერთი თამაში შესაძლოა, ახალ ზელანდიაში ჩატარდეს".

## არმსტრონგი და შერილ ქროუ ქორწინდებიან

ორშაბათს "ტურ დე ფრანსის" შვიდგზის გამარჯვებულმა ამერიკელმა ლენს არმსტრონგმა და როკმომღერალმა შერილ ქროუმ დაქორწინების შესახებ განაცხადეს. ამერიკელი ველომრბოლის პრესატაშეს მარკ ჰიგინსის სიტყვებით, ქორწინების თარიღი ჯერჯერობით არაა დათქმული. სავარაუდოდ, ქორწილს გაისად გაზაფხულზე უნდა ველოდოთ. მოგეხსენებათ, არმსტრონგმა სპორტულ კარიერას ივლისში დაუსვა წერტილი, როდესაც მეშვიდედ მოიგო "ტურ დე ფრანსი".

## ქობალია რუსეთის საჭადრაკო ჩემპიონატის ლიდერია

რუსეთის ვაჟ მოჭადრაკეთა ჩემპიონატის 58-ე ტურმა ერთპიროვნულ ლიდერად გამოავლინა მოსკოველი დიდოსტატი, ტომით ქართველი მიხეილ ქობალია, რომელმაც შავი ფიგურებით ენდშპილში თანამემამულე ევგენია ბარეევს მოუგო.

## რჩეულ ჰოკეისტთა სამასპინძლოდ ხუთი ქვეყანა იბრძვის

2011 წლისთვის ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის განცხადებების მიღება შეწყდა. მსოფლიოს 16 საუკეთესო ნაკრების მასპინძლობის სურვილს გამოთქვამს ხუთი ქვეყანა: ბელორუსი, ფინეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი და შვედეთი. მასპინძლის ვინაობა გაისად გაზაფხულზე, რიგის მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას გახდება ცნობილი. 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, რომელსაც ლატვია უმასპინძლებს, 2007 წელს რუსეთის ჯერი დადგება, 2008 წელს - კანადის, 2009 წელს - შვეიცარიის, ხოლო 2010 წელს - გერმანიის.

## ტაისონმა ჟირინოვსკი გადააგდო

ორი დღის წინათ დაახლოებით 19:00 საათზე მოსკოვის აეროპორტ ვნუკოვოში დაეშვა მაიკ ტაისონის კერძო თვითმფრინავი. ამბობენ, რომ "რკინის მაიკი" რუსეთის დედაქალაქს კერძო ვიზიტით ეწვია. თუ ერთ გამონაკლისს არ ჩავთვლით, ზუსტად არ არის განსაზღვრული ტაისონის სტუმრობის პროგრამაც. კერძოდ, გუშინ 17:00 საათზე მოსკოვის ერთ-ერთ ლუდხანაში ტაისონი უნდა შეხვედროდა სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერს ვლადიმირ ვოლფოვიჩ ჟირინოვსკის, მაგრამ შეხვედრა არ შედგა. ლუდხანასთან მისულმა ჟირინოვსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა: ტაისონის მოუსვლელობის მიზეზი ის არის, რომ თავს ცუდად გრძნობსო. მერე კი... "რუსეთში საცხოვრებლად დარჩენას შევთავაზებ. ჩვენთან იცხოვროს, აქ ჩაატაროს მატჩები", - აცხადებდა ჟირინოვსკი, რომელსაც განუზრახავს "რკინის მაიკს" "საკუთარი მწვანე ჩაი" აჩუქოს.

## პარკ იონ სუნი ტატამზე მესამე ვადით დარჩა

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა პარკ იონ სუნმა თანამდებობაზე ყოფნა მესამე ვადით (ოთხი წლით) გაიხანგრძლივა. კენჭისყრაზე სამხრეთკორეელმა 100 ხმით 85-ის წინააღმდეგ გაიმარჯვა ევროპის ძიუდოს კავშირის პოლონელ პრეზიდენტ მარიუშ ვიზერზე.

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ადიგენის რაიონის წრისა და პატარა ზანავის წყალსადენის რეკონსტრუქცია.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ადიგენის რაიონის ზანავის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **ზანავის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ადიგენის რაიონი, სოფელ ზანავის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:გიორგი მგელაძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 13 სექტემბრიდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე.** საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **5 000** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ადიგენის რაიონი, სოფელ ზანავის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:გიორგი მგელაძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 13 ოქტომბერს 13:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

ფეხბურთი

# კიდევ შეხვედრებით



თუ ადრიანო და შევჩენკო ზაფხულისთვის ფორმას შეინარჩუნებენ, მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი ფიგურები გახდებიან.

*კაცმა რომ თქვას, ანდრეი შევჩენკო და ადრიანო იტალიის ჩემპიონატის ყველაზე მრისხანე ფორვარდები არიან, მაგრამ არც ერთს მსოფლიო პირველობაზე ჯერ არ უთამაშია. თუმცა, გასულ უქმეებზე ორივე დაეხმარა საკუთარ გუნდს გერმანიის საგზურის მოპოვებაში. ახლა მილანურ კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელები უეჭველად ოცნებობენ, მთელი საფეხბურთო სამყარო თავისი გავლენის ქვეშ მოაქციონ.*

2004 წელს შევჩენკო, რომელსაც სექტემბერში 29 წელი შეუსრულდება, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. მილანში გატარებული წლების განმავლობაში ფეხბურთელმა 100 გოლზე მეტი გაიტანა და მრავალი ჯილდო მოიგო. თუმცა, საერთაშორისო არენაზე ფეხბურთელს მუდმივად იმედგაცრუება ელოდა. უკრაინის ნაკრებს ყოველთვის ცოტა აკლდებოდა დიდი ტურნირის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად.

ისე მოხდა, რომ თითქოს უკრაინელებმა ფინალურ ეტაპზე გასვლა დღეისთვის გადადეს, როცა საქართველოს ნაკრებთან შეხვედრაში ფრეს დასჯერდნენ, მაგრამ თურქეთში თურქეთისა და დანიის ნაკრებთან შეხვედრაში მატჩის ბოლო წუთებზე სერენ ლარსენმა გოლი გაიტანა და დანიელებს დაეხმარა სტამბულიდან ქულის წამოღებაში, რაც იმას ნიშნავდა, რომ უკრაინის ნაკრები თავისი არსებობის ისტორიაში პირველად გავიდა მსოფლიო პირველობის ფინალურ ეტაპზე. უკრაინელები კონკურენტთათვის მიუწვდომელნი გახდნენ.

"დამოუკიდებელი უკრაინის არსებობის ისტორიაში ჩვენ პირველად გავემგზავრებით მსოფლიო ჩემპიონატზე, - განაცხადა ანდრეი შევჩენკომ, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპზე ხუთი გოლი გაიტანა და დუბლი შეასრულა თურქეთში გასვლით შეხვედრაში (3:0), - ეს კი დიდი საქმეა".

ბრაზილიის ნაკრების ფინალში გასვლა გულშემატკივართათვის სიურპრიზი არ ყოფილა. თუმცა, ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ რონალდინიოს, რონალდოს, რობინიოსა და კაკას გარემოცვაში იმყოფება, მილანის "ინტერის" ფორვარდმა ადრიანომ დაამტკიცა, რომ შეიძლება სწორედ ის გახდეს მომავალ ზაფხულს ბრაზილიის ნაკრების ლიდერი.

"ფლამენგოს" 23 წლის ყოფილმა ფეხბურთელმა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ზაფხული შესანიშნავად გაატარა. მან მოიგო კონფედერაციის თასი და ხუთ მატჩში ხუთი გოლი გაიტანა. მაშინ ფინალურ შეხვედრაში ბრაზილიელებმა არგენტინა დაამარცხეს - 4:1 და ადრიანომ დუბლი შეასრულა.

კვირას "ინტერის" ფორვარდმა ჰეთ-თრიკი შეასრულა და ბრაზილიის ნაკრებს დაეხმარა ჩილეს განადგურებაში - 5:0. ამრიგად, ადრიანომ მსოფლიო ჩემპიონატზე წასვლა გაინაღდა. აღსანიშნავია, რომ ადრიანომ ერთ კვირაში ორი ჰეთ-თრიკი შეასრულა. იტალიის ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრაში მან სამი გოლი გაუტანა დებიუტანტ "ტრევიზოს" (3:0).

"მე შეჩერებას არ ვაპირებ, ეროვნულ გუნდში თავის გამოჩენის ყოველი შანსის გამოყენებას შევეცდები, - განაცხადა ადრიანომ, - ჩვენ შესანიშნავი მატჩი გავმართეთ. ახლა საჭიროა ამ შემართებით განვაგრძოთ თამაში. ყველა ღონეს ვიხმარ იმისთვის, რომ ბრაზილიის ნაკრებმა რაც შეიძლება უკეთ წარმოაჩინოს თავი მსოფლიო ჩემპიონატზე".

თუ შევჩენკო და ადრიანო ზაფხულამდე მოახერხებენ საუკეთესო სპორტული ფორმის შენარჩუნებას, მილანური დერბის მთავარი გმირები შეიძლება მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ეტაპებზეც შეხვდნენ ერთმანეთს.

მოკლედ

## "რასინგის" მეკარე ნაკრებში თამაშზე უარს ამბობს

ესპანური "რასინგის" მეკარემ დუდუ ავატმა ისრაელის ნაკრებიდან წასვლის შესახებ მას შემდეგ განაცხადა, რაც შეიტყო, რომ ნაკრების მწვრთნელმა აბრაამ გრანტმა შვეიცარიელებთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სასტარტო განაცხადში არ შეიყვანა.

მატჩამდე ერთი დღით ადრე გრანტსა და ავატს შორის ყვირილით გაჯერებული ორსაათიანი საუბარი გამართულა. მატჩის შემდეგ ავატს ბარგი შეუკრავს და განუცხადებია: "ვიდრე გრანტი ეროვნული ნაკრების მწვრთნელი იქნება, ჩემი ფეხი არ იქნება გუნდში!"

ისრაელის ფეხბურთის ფედერაციას ისღა დარჩენია, მეკარეს სანქციები დააკისროს და ნაკრებში თამაში, სულ ცოტა, ხუთი წლით აუკრძალოს.

## შუმახერისთვის ჩემპიონატი დასრულებულია

აწ უკვე ყოფილმა მსოფლიოს ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა "იტალიის დიდი პრიზის" შედეგებზე და ზოგადად ჩემპიონატზე ისაუბრა. კერძოდ, თქვა: ჩემთვის ეს ჩემპიონატი უკვე დასრულებულია. ჩემპიონის წოდებას საკმაო ხნის განმავლობაში ვინარჩუნებდი, რაც ყველაზე მეტად მაოცებდა კიდეც. თუმცა, ყოველთვის ვიცოდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი დასრულდებოდა. კვირის რბოლის შედეგების მიხედვით დიდი წინასწარმეტყველება არ არის საჭირო იმის განსასაზღვრად, რომ ჩემპიონატი დამთავრებულია. თეორიულად ჩემპიონობის შანსს კვლავ ინარჩუნებს კიმი რაიკონენი ("მაკლარენ-მერსედესი"), მაგრამ ამისთვის მხოლოდ შანსები ცოტაა. ძალზე ბევრი რამ უნდა დაემთხვეს ერთმანეთს იმისთვის, რომ ფერნანდო ალონსო ("რენო") არ გახდეს ჩემპიონი.

ერთი სიტყვით, შეჯიბრება, ისევე როგორც ჩემი პირველობა, დასრულებულია".

შეგახსენებთ, რომ "იტალიის დიდი პრიზი" მოიგო მაკლარენელმა ხუან პაბლო მონტოიამ. მეორე ადგილი დაიკავა ჩემპიონატის ლიდერმა ესპანელმა ფერნანდო ალონსომ, ხოლო მესამეზე ასევე რენოელი იტალიელი ჯანკარლო ფიზიკელა გავიდა.



# ვაკანსიები

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **საველე უსაფრთხოების ოფიცრის** და **ხარჯთაღრიცხვის ბუღალტრის** თანამდებობების დასაკავებლად. **საველე უსაფრთხოების ოფიცერი** და **ხარჯთაღრიცხვის ბუღალტერი** წარმოადგენენ საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**საველე უსაფრთხოების ოფიცერი**

**სამუშაოს აღწერილობა:**

დაქირავებული პირი, დროის უდიდეს ნაწილს, გაატარებს ველზე და მისი მოვალეობა იქნება უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მონიტორინგის წარმოება და არსებული წესების დაცვა. ამასთან ის ვალდებული იქნება, ყოველდღიური ანგარიში წარუდგინოს სამშენებლო საველე გუნდს, უზრუნველჰყოს უსაფრთხოების მართვის სისტემის მუშაობა, ხელი შეუწყოს BP-ის ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების (H&S) მოთხოვნათა დაცვას. საველე უსაფრთხოების ოფიცერმა უნდა აჩვენოს, რომ მზად არის დაიცვას ყველა კანონი და განსაკუთრებით უნდა შეუწყოს ხელი კომპანიის თანამშრომელთა და კონტრაქტორთა H&S-ის უნარჩვევების განვითარებას და ამაღლებას. ასევე მუდმივად უნდა მუშაობდეს თანამშრომლებთან ყველა დონეზე უსაფრთხოების კულტურის განვითარებაზე.

**მოვალეობები და ვალდებულებები**

კონკრეტული მოვალეობები გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგით:

დახმარების გაწევა უსაფრთხოების დაცვის კულტურის ჩამოყალიბებაში, რაც თავისთავად H&S-ში წარმატების მიღწევის საფუძველი იქნება

- რჩევის მიცემა და დახმარების გაწევა ყველნაირი საქმიანობებისას, რათა თანაბრად იქნას დაცული უკვე დაწესებული უსაფრთხოების პირობები, ლეგალური მოთხოვნები და BP-ის შიდა სტანდარტები

დახმარების გაწევა BP-ის ჯანმრთელობისა და უსაფრთოების წესების განხორციელებისას

- კონტრაქტორის მიერ განხორციელებულ უსაფრთხოების პროგრამების და საქმიანობების შეფასება მონიტორინგში მონაწილეობა, იმის გასარკვევად, რომ ისინი აკმაყოფილებენ BP-ის სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფრომაციის მიწოდებისა და კომუნიკაციის დამყარების საშუალებების უზრუნველჰყოფა, ასევე უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისათვის განხორციელებული კამპანიების განვითარების მხარდაჭერა

- საშინაო და საგარეო უსაფრთხოების საკითხებზე ანგარიშების შედარება და მომზადება, ისე რომ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს სამშენებლო საველე კადრების ყოველდღიური საქმიანობების უსაფრთხოების მენეჯმენტზე

სამუშაო პროცედურის რისკის ანალიზში მონაწილეობა, მუშაობის დროს მომუშავე პერსონალის უსაფრთხოების დაცვის მიზნით

- უბედური შემთხვევის დროს გამოძიებასა და ანალიზის პროცესში აქტიური მონაწილეობა

უსაფრთხოების აუდიტის წარმოება რეგულარულად

- უსაფრთხოების ტრენინგებსა და დაკვირვების პროგრამებში აქტიური მონაწილეობა

საგანგებო მდგომარეობისას რეაგირების ტრეინინგებში დახმარების გაწევა და რეალურ საგანგებო სიტუაციებში მონაწილეობა. ამ მიზნით დაქირავებულ პირთან დაკავშირება ხელმისაწვდომი უნდა იყოს 24 საათის განმავლობაში

- მუდმივი მონიტორინგის წარმოება და ანგარიში ჩაბარება ყოველდღიური საქმიანობების შესახებ სამშენებლო საველე ჯგუფის, ისევე როგორც უსაფრთხოების მენეჯმენტთათვის

**მოთხოვნები:**

- მუშაობის გამოცდილება უსაფრთოების სფეროში, უპირატესობა მიენიჭებათ მათ, ვისაც უკვე უმუშავია პროექტში

უმაღლესი განათლება, სასურველია ტექნიკური განხრით

- ინგლისური, რუსული და ქართული ენების სრულყოფილად ფლობა

მართვის მოწმობა

- კომპიუტერული პროგრამების MS Word, Excel, PowerPoint, MS Outlook - ის კარგი ცოდნა

ინტერესი და სურვილი შეისწავლოს და განვითარდეს ჯნდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში

- ადამიანებთან ურთიერთობის უნარი და გუნდური მუშაობის გამოცდილება

**ხარჯთაღრიცხვის ბუღალტერი**

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**

ხარჯთაღრიცხვის ბუღალტრის მოვალეობები და პასუხისმგებლობა მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

**- ხარჯების კონტროლი**

ვალდებულებების კონტროლი და ანგარიშ-ფაქტურების სწორად გამოწერა დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე, დანახარჯების კონტროლი ინდივიდუალური კონტრაქტების მიხედვით, კონტრაქტების ეტაპობრივი მოქმედების რეგულარულად შესწავლა.

**- შესრულებული სამუშაოს ღირებულება (VOWD)**

კონტრაქტის მფლობელთან ან კონტრაქტორთან ერთად პერიოდის ბოლოსთვის შესასრულებელი სამუშაოს საორიენტაციო ღირებულების (VOWD) განსაზღვრა, ფულადი სახსრების მოძრაობის ზრდის გასაანგარიშებლად.

**- ფინანსური ანგარიშები**

ყოველთვიური ანგარიშგება ბიუჯეტისა და ვალდებულებების, ვალდებულებებისა და დანახარჯების, ბიუჯეტისა და "დასრულებისას საბოლოო ღირებულების" ურთიერთშედარების შესახებ.

**- ბიუჯეტის შედგენა**

მონაცემების შეგროვება ფიზიკური სამუშაოს გეგმური გრაფიკის, ხარჯვის ფაქტობრივი ტიპებისა და მიმართულებების საფუძველზე, წლიური ბიუჯეტის პროგნოზირების მიზნით

**- ხარჯთაღრიცხვის შესრულების ანალიზი**

ხელფასების ფონდისა და საოფისე ხარჯების ანალიზი ხარჯების ცენტრთან მიმართებით, დროის ყოველთვიურ განაწილებათა საფუძველზე.

**- ანგარიშების ურთერთშედარება**

სისტემების და ანგარიშების ძირითად ფინანსურ საბუღალტრო სისტემასთან (SAP) ყოველთვიურად შესაბამისობაში მოყვანა და ბალანსის ყველა მუხლის კონტროლი და ურთერთშედარება.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**

სამუშაოზე აყვანის კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი ან მისი ექვივალენტი ეკონომიკის და ფინანსების დარგში

- მინიმუმ ორწლიანი გამოცდილება საბუღალტრო ან ფინანსურ სფეროში

ქართული - მშობლიური ენა, ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილად ფლობა

- კომპიუტერთან სრულყოფილად მუშაობის უნარი

კანდიდატს უნდა გააჩნდეს თვითმოტივაციის უნარი და შეძლოს სხვადასხვა დიაპაზონის პრობლემების სწრაფი დიაგნოზირება, ანალიზი და გადაჭრა.

**დამატებითი ინფორმაცია/განაცხადის შემოტანის წესი**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2005 წლის 9 სექტემბერი, პარასკევი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც იმას არ გულისხმობს, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
BP Georgia
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

# "მანგოს" წვენი

თამარ ბაბუაძე

თბილისში სიმღერების, ფილმებისა და "იმენოი" სახელების ამოჩემება სჩვევიათ. "მანგო" ფეტიშის ერთ-ერთი საგანია. გამფეტიშებლების კატეგორია ჭრელია. ესპანური "მანგო", სათავო ოფისით მზიან ბარსელონაში, ყველა ტიპის ადამიანებს იზიდავს. მაცდუნებელი ეგზოტიკის მოყვარულთ ამ სავაჭრო ნიშნის ესპანურობა და კარგი რეკლამაც ჰყოფნით, მორიგი სიხარულისთვის კი ისიც საკმარისია, რომ ცნობილ ბრენდს ამიერიდან თბილისში სურნელოვანი სითხითაც დააგემოვნებენ. "ისი პარის" მაღაზიათა ქსელის მორიგი პრეზენტაცია ორიოდე დღის წინ გაიმართა. საშემოდგომო სიახლეებიდან პირველი სწორედ "მანგო" იყო.

კომპანიას იმედი აქვს, რომ ტანსაცმლის, სათვალის, შარფის, ხელთათმანის, ჩანთის და სხვა აქსესუარების პარალელურად, თბილისში "მანგოს" სუნამოებიც პოპულარული გახდება. Adorably და Cut For Woman - ისინი "მანგოს" თბილისში კიდევ უფრო გაუმაგრებენ ზურგს.

ბარსელონა ჭრელი ქალაქია. ესპანელებსაც მხიარული ფერები უყვართ. "მანგოს" პროდუქციაც ხშირად ასეთია. ასეთია ორივე სუნამოც, როგორც ავტორები ამბობენ - საწინააღმდეგო სქესის ცდუნებისთვის საჭირო ყველა კომპონენტით.

დავიწყოთ თავიდან და ვნახოთ, რას სთავაზობს ქალებს სუნამო Adorably. ეს "მანგოს" ორიგინალური მიქსია - სიგრილე და აზიური მგრძნობიარობა, ანუ წითელი ხილისა და ძვირფასი ხეების ნაზავი. ეს კონტრასტული ჰარმონია ფლაკონსაც ეტყობა - ვარდისფერი სითხე, შავი თავსახური და ქალის ტანივით გადახრილი ბოთლი საბოლოო ჯამში ცნობისმოყვარეობას ზრდის და Adorably-ს დაგემოვნების სურვილსაც ვერავინ გაურბის.

რაც შეეხება Cut For Woman-ს, მისი ფლაკონი რაღაც ჰაი-თექისთვის ამზადებს ქალს: ის გამჭვირვალე ყინულისფერითა და ბაცი ასოებით, რაღაც სუპერთანამედროვე მინის შენობის ფასადს ჰგავს, შესაბამისად, იქმნება ძალიან ცივი სურნელის მოლოდინი, არადა, სითხე აბსოლუტურად "მანგოსებურია" - თბილი, მგრძნობიარე და ნატიფი. ერთი სიტყვით, ეს ერთგვარი სიურპრიზია ამ პოპულარული ბრენდის ნამდვილი დამფასებლებისთვის.

ეს მისი სურნელოვანი სიახლეები იყო, რომლებიც ჩვენი პუბლიკისთვისაც ხელმისაწვდომია. ისე კი, "მანგოს" საშემოდგომო ამბები მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. შემოდგომიდან მისი ჩვეულებრივი, რიგითი კოლექციის პარალელურად, მაღაზიებში ექსკლუზიური კოლექციაც გაჩნდება - Mango Exclusive Edition. ეს განმარტება თავის თავში გულისხმობს იმას, რომ მასში შემავალი ტანსაცმელიც და აქსესუარებიც შეზღუდული რაოდენობით გაიყიდება "მანგოს" 220-მდე მაღაზიაში მსოფლიოს გარშემო. ამ 220 მისამართს შორის ყველაზე პოპულარულები ლონდონის ოქსფორდ სტრიტი, პარიზის ოპერა, მილანის ვია ტორინო, ბარსელონას პასეო და გრასია და მადრიდის პრინსესა სტრიტი არიან. სავარაუდოდ, კოლექციის დიდი ნაწილი სწორედ ამ ძვირფასი მაღაზიებით სახელგანთქმულ ქუჩებზე გაიყიდება. "მანგოს" პრესასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი ნინონა ვილა აცხადებს: "ექსკლუზიური კოლექცია ერთი ნათელი მიზნით შეიქმნა: ჩვენ ჩვენს მოდურ კოლექციებს უფრო მეტი სიღრმე უნდა შევძინოთ. დარწმუნებული ვარ, კლიენტებს ჩვენი ჩანაფიქრი ძალიან მოეწონებათ".

ასე რომ, სანამ დანარჩენ ევროპას პოპულარული "მანგო" ბარსელონადან სრული სისავსით შეუძლია გასინჯოს, თბილისის მაღაზიებში გაფანტულ საეჭვო "მანგოს" და უეჭველი ხარისხის "მანგოს" სუნამოებს დავჯერდეთ.




# ლიხტენშტეინი დაჭრეს

ამერიკელი პოპ-მხატვრის როი ლიხტენშტეინის ნახატი ავსტრიაში მიმდინარე გამოფენაზე ქალმა დანით გაგლიჯა. ტილო სახელწოდებით "შიშვლები სარკეში", რომელიც 7 მილიონ დოლარად იყო დაზღვეული, მთლიანად არ გაფუჭებულა.

პოლიციის ცნობით, 35-იოდე წლის ქალი მიუნხენიდან იყო. ის კუნცჰაუზ ბრეგენცის მუზეუმს შაბათს შუადღისას ესტუმრა, ლიხტენშტეინის ნამუშევართან შეჩერდა, ჩანთიდან დანა ამოიღო და ოთხჯერ ჩასცხო ნახატს. ის დამთვალიერებლებმა ძლივს შეაჩერეს. პოლიციის ცნობით, მას ჩანთაში წითელი საღებავი და სახრახნისიც ედო. მისი დანაშაული ხუთწლიანი პატიმრობით ისჯება. ქალი აცხადებს: ლიხტენშტეინის ნახატს იმიტომ შეუტია, რომ ის ყალბი იყო. გამოფენის კურატორი რუდოლფ საგმაისტერი, ცხადია, ამ მტკიცებას უარყოფს და იმედს გამოთქვამს, რომ ლიხტენშტეინის ნახატის აღდგენა მალე იქნება შესაძლებელი. უნდა ითქვას, რომ მიუნხენელმა ქალბატონმა გამოფენის დახურვას ძლივს მიუსწრო. ივნისში გახსნილი ექსპოზიცია მეორე დღეს, კვირას იხურებოდა. ბრეგენცის საგამოფენო დარბაზში გამოფენილი იყო ლიხტენშტეინის 1961-1995 წლებში შექმნილი 41 ნახატი. თავად მხატვარი 1997 წელს გარდაიცვალა. ის ენდი უორჰოლთან ერთად 60-იანური პოპ-მოძრაობის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო.


## საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ხაშურის რაიონის სოფელ წრომის ხიდის მშენებლობა.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ხაშურის რაიონის წრომის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **წრომის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ხაშურის რაიონი, სოფელ წრომის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:გურამ ბერაძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 13 სექტემბრიდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე.** საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **4 700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ხაშურის რაიონი, სოფელ წრომის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:გურამ ბერაძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 12 ოქტომბერს 13:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03



## საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის განცხადება

1. საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის 06.09.2005წლის N30 სხდომის ოქმის თანახმად, საქართველოს პარლამენტის 2005წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შესაბამისად, საავტომობილო საწვავის შესყიდვაზე პარლამენტი აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვა განხორციელდება 2 ლოტის მიხედვით:**

1. 81000 ლიტრი აი-95 მარკის საავტომობილო საწვავი სატალონო მომსახურეობის სისტემით,

2. 8100 ლიტრი აი-95 მარკის საავტომობილო საწვავი შემსყიდველის ავტობაზამდე მიწოდებით,

დაინტერესებულმა პირებმა ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში საწვავის მოწოდება უნდა განახორციელონ ეტაპობრივად (ყოველთვიურად) გრაფიკის მიხედვით ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005წლის 31დეკემბრამდე.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005წლის 22 სექტემბრის 1000სთ-დან 23 სექტემბრის 1600სთ-მდე, საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის აპარატში სათანადო რეგისტრაციის გავლით, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის 8 (დამატებითი ცნობებისთვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: **93-25-09 ზაურ ჯიოშვილი**).

3. დაინტერესებული პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს, რომ:

4.1 **იურიდიული პირისთვის:**

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებლო წარმოება (ცნობა სააღსრულებლო ბიუროდან);

დ) მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ე) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ვ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

ზ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

4.1 **ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

დ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებლო წარმოება (ცნობა სააღსრულებლო ბიუროდან);

ე) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ზ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

თ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

4. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში ჩამოთვლილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. ტენდერში მონაწილეობისათვის პრეტენდენტი იხდის სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, რომელიც უნდა გადაიხადოს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადის გასვლამდე (სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2005წლის 28 სექტემბრის 1000-დან 30 სექტემბრის 1600-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8, სატენდერო კომისიის აპარატი) საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ N000141408 "შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

6. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა წინადადება შეიძლება წარმოადგინონ როგორც მთლიანად, ისე ცალკეული ლოტების მიხედვით, შესაბამისად ტენდერის ჩატარებისას შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

8. ტენდერში გამარჯვებულთან დადებული ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ფასის მატება დასაშვები იქნება საერთო ჯამში 5%-ის ფარგლებში.

*სატენდერო კომისიის თავმჯდომარე*



## საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ბორჯომის რაიონის ჭობისხევის წყალსადენის რეკონსტრუქცია.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ბორჯომის რაიონის დვირის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **დვირის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ბორჯომის რაიონი, სოფელ დვირის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:თემურ სამსონაშვილი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 13 სექტემბრიდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე.** საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **5 000** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ბორჯომის რაიონი, სოფელ დვირის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:თემურ სამსონაშვილი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 12 ოქტომბერს 16:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **16:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03



## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**გაეროს განვითარების პროგრამა**

"ლამაზი ბორჯომის" კომპონენტის ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს ერთ ლოტად, სამშენებლო კომპანიის გამოსავლენად ქალაქ ბორჯომში პროექტის ფარგლებში შერჩეული ობიექტების ფასადების შეკეთების მიზნით.

**შესყიდვის ობიექტია:**

1. გაზეთ "ბორჯომის" რედაქციის შენობა (კოსტავას მ. N1)
2. შადრევანი წმიდა ნიკოლოზის ეკლესიასთან მდებარე "მცირე პარკში";
3. მე-2 საშუალო სკოლა (რუსთაველის ქ. N81)

**სამუშაოების შესრულების ვადა**: 2005 წლის 3 ოქტომბრიდან 2005 წლის 21 ნოემბრამდე.

**საკვალიფიკაციო მონაცემები** უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები;

ბ) სასამართლოს დადგენილება ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს მონაწილეობის მსურველი პირის გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (რაიონული სასამართლოდან);

დ) ცნობა ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე Yყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) სამშენებლო სამუშაოების წარმოების ლიცენზია (სამუშაოების მიხედვით შესაბამისი ჩამონათვალი) ან ნებართვა (სამუშაოების მიხედვით შესაბამისი ჩამონათვალი) ;

ე) ცნობა სრულად გასტუმრებული ვადაგასული ვალდებულებების შესახებ სახელმწიფოსა და კრედიტორების წინაშე (საგადასახადო ინსპექციიდან);

ვ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების განხორციელების შესახებ;

ზ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტის მიერ დამოწმებული);

**ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილ უნდა იქნას ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მეორე ეგზემპლარი ქსეროასლის სახით;**

**სატენდერო დოკუმენტაცია** (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა იმ პირებზე, რომლებიც სრულად წარმოადგენენ ზემოთჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებს. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება შემდეგ მისამართებზე:

**ქ. თბილისში:** მელიქიშვილის გამზირი N12, მე-3 სართული, ოთახი N303. საკონტაქტო პირი ელენე მიქაბერიძე. 22-14-11.

**ქ. ბორჯომში:** რუსთაველის N147, "სახალხო ბანკის" ბორჯომის ფილიალის შენობა, მე-2 სართული. საკონტაქტო პირი ვასილ ჟვანია.

**სატენდერო წინადადების ჩაბარების წესი და ბოლო ვადა:**

სატენდერო წინადადება ორ ეგზემპლარად (თითოეულ ეგზემპლარში თითო "ორიგინალი" და "ასლი" ცალ-ცალკე დალუქულ კონვერტში) დალუქული სახით წარმოდგენილ უნდა იქნეს 2005 წლის 16 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მელიქიშვილის გამზირი N12, მე-3 სართული, ოთახი N303.

**ტენდერში მონაწილეობის გადასახადია 200 ლარი**, რომელიც უკან არ დაბრუნდება. გადასახადი უნდა გადაირიცხოს გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიშზე. ანგარიშის ნომერია: "თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: 220101830, ანგარიშის ნომერი: N609300. გადარიცხვის დანიშნულებაში მიუთითეთ: "ლამაზი ბორჯომი" და ტენდერში მონაწილე კომპანიის სახელი. სატენდერო წინადადება მიიღება მხოლოდ სატენდერო გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ("საგადასახადო დავალება") წარმოდგენის შემთხვევაში.

ტენდერში გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ზემოთაღნიშნულ მისამართებზე გიორგი ედილაშვილისაგან - პროექტის კოორდინატორი.

**ტელეფონი 899 55-86-50.**



## განცხადება

**ს.ს. ნავთობის ეროვნული კომპანია “საქნავთობი” შეიძენს ნავთობის მრეწველობაში გამოსადეგ მატერიალურ ფასეულობებს:**

1. ჩაჩქანი, თბილი ქუდით.
2. შემდუღებლის კოსტუმი
3. ტყავის ჩექმა
4. თბილი ქურთუკი
5. სახანძრო ინვენტარი (სტენდი)
6. ჭანჭიკ-ქანჩი მ-30 X 60.
7. ტრაქტორ დტ-75-ს სათადარიგო ნაწილები
8. გაჟღენთილი თოკი 10-12 მმ.
9. ღვედი ა-3350
10. მანომეტრ 60 ატმ ობმ-160
11. ბენზინი “გალოშა”
12. მარილმჟავა 34%
13. ცისტერნა 50-60 $მ^3$
14. ვაგონი, მოძრავი, სტაციონარი.
15. ლოტი (ამოტვიფრული)
16. სატეხი 215,9
17. “---” 140,0
18. “---” 120,6
19. გოფრირებული მილი 100 მმ
20. მაღალი წნევის რეზინის მილი 50 მმ.
21. კომპრესორ სდ-9/101 ძრავი,
“2 დ - 12 ბ”, “დ-12 ას”, ან “დ 12-400”, ან “დ 12-ბმს”.
22. ფოლადის მრგვალი ნამზადი.

**საკონტაქტო ტელეფონი: 33-46-89, 33-27-34.**

# MTV როკს დაუბრუნდა

მუსიკალური არხის MTV-ის დაჯილდოების ცერემონიის ტრიუმფატორად ამერიკული ჯგუფი "გრინ დეი" მოგვევლინა. ამერიკულმა ჯგუფმა რვა ნომინაციიდან შვიდში გაიმარჯვა. "ეს არაჩვეულებრივია, რომ MTV-იზე ადგილი როკისთვის ისევ მოიძებნება", - განაცხადა "გრინ დეის" ვოკალისტმა ბილი ჯო არმსტრონგმა მაიამიში გამართულ ცერემონიაზე.

დაჯილდოების ცერემონიამ მშვენივრად ჩაიარა, მიუხედავად იმისა, რომ ერთი კვირით ადრე მთელ ფლორიდის შტატს კატრინას ქარიშხალი დაატყდა თავს, ხოლო დაჯილდოების ცერემონიამდე გამართულ საღამოზე ატეხილი სროლის შედეგად კი ერთ-ერთი ხმისჩამწერი სტუდიის ბოსი დაიჭრა.

"გრინ დეიმ" გაიმარჯვა ნომინაციებში: "საუკეთესო როკ-ვიდეოკლიპი", "საუკეთესო ჯგუფი", "მაყურებლების არჩევანი" და კიდევ რამდენიმე ტექნიკურ ნომინაციაში.



ერთადერთი ნომინაცია, რომელშიც "გრინ დეი" საუკეთესოდ არ აღიარეს, კლიპის რეჟისურაა. ამ ნომინაციაში ამერიკულ ჯგუფს გვენ სტეფანიმ აჯობა სიმღერით What You Waiting For?"

რამდენიმე წელი ჰიპ-ჰოპის ჩრდილში მყოფი როკ-მუსიკა კვლავ გამოვიდა ავანსცენაზე და დომინირებდა MTV-ის დაჯილდოების ცერემონიაზე.

ერთადერთი რეპერი, რომელმაც ჯილდო აიღო, იყო კენი უესტი. The Killers დაჯილდოებულია, როგორც საუკეთესო ახალბედა მუსიკოსები. პიტ უეინთსი Fall Out Boy-დან აცხადებს, რომ ჯერ ადრეა როკის დაბრუნებაზე ლაპარაკი: "თუ რაღაც სხვა მიდის, ეს არ ნიშნავს, რომ როკი ბრუნდება", - განაცხადა პიტ უეინთსმა.

საუკეთესო ვიდეოკლიპი - ჯგუფი "გრინ დეი"
საუკეთესო კლიპი მამაკაცის შესრულებით - კენი უესტი
საუკეთესო კლიპი ქალის შესრულებით - კელი კლარკსონი
საუკეთესო კლიპი (ჯგუფი) - "გრინ დეი"
საუკეთესო რეპ-კლიპი - ლუდაკრისი
საუკეთესო რითმ-ენ-ბლუზ კლიპი - ალიშა ქიზი
საუკეთესო ჰიპ-ჰოპ კლიპი - მისი ელიოტი
საუკეთესო საცეკვაო კლიპი - მისი ელიოტი

# მოდა, როგორც პიცა

16 სექტემბერს ნიუ იორკის მოდის კვირეული ერთი მნიშვნელოვანი დებიუტით დაიხურება. მომღერალი და მსახიობი გვენ სტეფანი თავის ახალ კოლექციას წარმოადგენს. მანამდე კი ის ჟურნალისტებს ესაუბრება და უცხადებს: "მუსიკასაც და მოდასაც ერთი შემოქმედებითი წყარო აქვს. ვერ ვხვდები, ის მუსიკოსები, რომელთაც საკუთარი სტილი აქვთ, ანდა საერთოდ ყურადღებას აქცევენ მოდას, რატომ ვერ ხვდებიან ამას. მოდა ჩემი პიროვნების გაგრძელებაა. ვერ აგიხსნით, რატომ მომწონს ის. ყოველთვის ჩემთან ერთად იყო, როგორც, მაგალითად, პიცა".

ასე რომ, მოდაც და პიცაც გვენ სტეფანის ცხოვრების ორგანული ნაწილია. შესაბამისად, მისი ახალი კოლექცია LAMB (იშიფრება ასე: Love, Angel, Music, Baby: სიყვარული, ანგელოზი, მუსიკა, ბავშვი) მისი განწყობისა და ბუნების სავიზიტო ბარათად უნდა განვიხილოთ. მაშ ასე, როგორ გუნებაზეა სტეფანი საშემოდგომოდ?



როკისაც და ყვავილებისაც. ანუ, სტეფანის მოდელებს როკგოგონასთვის დამახასიათებელი ჯაჭვებიანი შარვლებიც აცვიათ და ყვავილებით მოხატული კაბებიც. "არ მაქვს იმის პრეტენზია, რომ უმალ ვიპოვი ჩემს ადგილს მოდის სამყაროში, მაგრამ ვხვდები, რომ ფესვები აქ მაქვს. თავს მოყვარულ დიზაინერად არ განვიხილავ, მაგრამ ასეც რომ იყოს, ვერაფერს გავაწყობ. კოლექციას მხოლოდ ჩემი სიამოვნებისთვის ვქმნი".

# იტალია წარსულის გარეშე

მიქელანჯელოს დავითს ფეხი აღარა აქვს, ლეონარდო და ვინჩის "საიდუმლო სერობაში" იესო ქრისტეს ნაცვლად შავი სიცარიელე ჩანს, პიზას დახრილი კოშკიც გამქრალია. ეს თავზარდამცემი რეალობა გამოსახულია პლაკატებზე, რომლითაც იტალიაში ახალი სარეკლამო კამპანია დაიწყო და რომელიც საზოგადოებას არწმუნებს, რომ უმოქმედობის შემთხვევაში ასეთი საფრთხე აშკარად არსებობს. კამპანიის ორგანიზატორები ცდილობენ, მოიძიონ თანხები და იტალიელებს გააცნობიერებინონ, რომ ძვირფასი ხელოვნების ნიმუშების გადასარჩენად ერთობლივი ბრძოლაა საჭირო.

რა იქნებოდა იტალია კულტურული მემკვიდრეობის გარეშე? რა იქნებოდა ჩვენი ქალაქის, ჩვენი ბუნების ფასი? - ეს კამპანიის მთავარი კითხვებია. და მართლაც, რა იქნებოდა რომი კოლიზეუმის, პიზა კი სახელგანთქმული კოშკის გარეშე?



ფონდი "ჩიტაიტალია" იტალიელებს სწორედ ამ კითხვებზე სთხოვს პასუხს და, ცხადია, პირველ რიგში, ქველმოქმედებისთვის გაღებულ თანხას ელოდება. ფონდი იღებს მოსაზრებებსაც, თუ კერძო იტალიელების აზრით, რა სახის აღდგენითი სამუშაოებია ჩასატარებელი.

რეკლამები გამქრალი პიზის კოშკითა და დამახინჯებული "საიდუმლო სერობით" სახელმწიფო ტელევიზიის არხზე კულტურის სამინისტროს ეგიდით გადის. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მსგავსი კამპანიები იტალიისთვის ახალი ფენომენია. იქ წლების განმავლობაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვა მხოლოდ სამთავრობო პასუხისმგებლობად განიხილებოდა. ხალხისგან წვლილის შეტანას არც არავინ მოითხოვდა და, შესაბამისად, არც ხალხი იჩენდა ინიციატივას. ახლა კი დამოკიდებულება იცვლება. "ჩიტაიტალიას" მიზანია მოსახლეობას გაათვითცნობიერებინოს, რომ მათ თანხის გაღება ნებისმიერი მნიშვნელობის მქონე ისტორიული ძეგლის დასაცავად შეუძლიათ.

იტალია ისტორიული მონუმენტების დასაცავად ყოველწლიურად 1.7 მილიარდ დოლარს იღებს. ეს ქვეყნის შიდა პროდუქციის 0.2 პროცენტია.

"ჩიტაიტალიამ" შარშან 375 ათას დოლარზე მეტი შეაგროვა და ტურინის ეკლესიისთვის მე-18 საუკუნის ორგანი აღადგინა. ახლახან დაწყებული კამპანიით კიდევ უფრო მეტის გაკეთებას შეეცდება.

# Fringe კიდევ უფრო პოპულარულია

ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალის დასკვნით საღამოს 250 ათასზე მეტი ადამიანი დაესწრო. ღონისძიების დახურვა მართლაც გრანდიოზული იყო. ბეთჰოვენის მე-7 სიმფონიის აკომპანემენტით ასი ათასამდე ფოიერვერკმა გაანათა ცა, ედინბურგის ციხე-სიმაგრე კი ყოველივე ამის ფონზე განსაკუთრებულად ლამაზი ჩანდა. არც კრიმინალური შემთხვევები მომხდარა. ეს უსაფრთხო და მხიარული საღამო იყო, - უხაროდათ პოლიციელებსაც.

ორგანიზატორებმა დაახლოებით ხუთი დღე მოანდომეს დასკვნითი საღამოს მოწყობას. ფოიერვერკებზე ოთხი ტონა მასალა დაიხარჯა, სამაგიეროდ, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ფესტივალი fringe კიდევ უფრო პოპულარული გახდა. სტუმრები არ დალევია არც ინდივიდუალურ შოუებს. მაგალითად, შპიგელის ბაღის დასათვალიერებლად ფესტივალის დახურვამდე 250 ათასი ადამიანი მივიდა.



**პროკრედიტ ბანკი აცხადებს**
**იურიდიული დეპარტამენტის უფროსის**
ვაკანსიას:

**მოთხოვნები:**
უმაღლესი განათლება სამოქალაქო სამართალის განხრით, საქართველოს კომერციული კანონისა და საბანკო რეგულირების წესების საფუძვლიანი ცოდნა.
- საბანკო სისტემაში მუშაობის მინიმუმ 3 წლის გამოცდილება, იურიდიული ასპექტებისა და საკრედიტო ტრანზაქციების საფუძვლიანი ცოდნა.
ქართული, რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილად ცოდნა.
- ევროპაში ან აშშ-ში ტრეინინგი ან სამუშაო გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად.

**საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 24 სექტემბერი**

დაინტერესებულმა პირებმა უნდა მოგვაწოდონ CV და სამოტივაციო წერილი შემდეგ მისამართზე
პროკრედიტ ბანკი, საქართველო
სათაო ოფისი
თბილისი, 0112 აღმაშენებლის გამზირი N154
ან გამოგვიგზავნეთ ელ-ფოსტით მისამართზე: career@procreditbank.ge

**შენიშვნა: CV-ზე ან წერილში აუცილებლად მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში შემოსული საბუთები არ განიხილება**

PSP
ფარმაცევტული კომპანია „პე-ეს-პე"
პსპ

- ფარმაცევტული კომპანია "პე-ეს-პე" აცხადებს 50 წლამდე უმაღლესი ფარმაცევტული განათლებისა და გამოცდილების მქონე პირების მიღებას სათაო ქსელში ფარმაცევტის პოზიციაზე.
- კანდიდატების შერჩევა ჩატარდება 2 ეტაპად.
- აუცილებელია ქართული ენის სრულყოფილად და რუსული ენის თავისუფლად ცოდნა.
- განაცხადები მიიღება 6 სექტემბრამდე.

დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ შეავსოთ განაცხადი ჩვენს ოფისში შემდეგ მისამართზე: აღმაშენებლის გამზ. 148/III
თან უნდა იქონიოთ ერთი ფოტოსურათი და განათლების დამადასტურებელი
დიპლომისა და სერთიფიკატის ასლები




შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ---------------------------------

მისამართი ---------------------------------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ---------------------------------

დაბადების თარიღი ---------------------------------

სკოლა ---------------------------------

კლასი ---------------------------------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ---------------------------------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ---------------------------------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ---------------------------------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სატელევიზიო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი   უ ფ ა ს ო ა

**შპს "საქართველოს რკინიგზის"**
**გენერალურ ინსპექციაში 2005 წლის სექტემბრიდან**
**ამოქმედდება ცხელი ხაზი.**
**მოგმართავთ თხოვნით, რკინიგზის სისტემაში**
**არსებულ დარღვევა-ნაკლოვანებების შესახებ**
**ინფორმაციის მოპოვების შემთხვევაში**
**დაგვიკავშირდეთ**
**ტელეფონზე 56-31-41**

